# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 5 ნოემბერი 2004 №258 (2279) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დონე 2:0

## ინგლისის პრემიერლიგამ ქართულ უმაღლეს ლიგას მოუგო

UEFA CUP







REUTERS ნიუსფოტოს

# უეფას თასი 2004-2005. D ჯგუფი. II ტური

# მორწმუნე კაჭკაჭებს სწამთ ერთი: შირერი-ღმერთი



კობა ინასარიძე

ნიუკასლიდან

გუშინ აშკარად გამოჩნდა, რა შორსაა ქართული ფეხბურთი დიდი ევროპულისგან.

გადავხედოთ „ნიუკასლის" შემადგენლობას, საქვეყნოდ ცნობილ სახელებს და ვთქვათ: „დინამო" ფეხბურთის კიდევ ერთ გაკვეთილს დაესწრო.

აბა, რა ვთქვა, რა დავწერო, ნიუკასლური მატჩი კი მაქვს მიმოსახილი, მაგრამ გონებაში მხოლოდ მასპინძელთა საქებარი სიტყვები მომდის. თუმც ისეც კარგად ვიცი, რომ „ნიუკასლმა" გუშინ თავისი შესაძლებლობების 60-70 პროცენტი თუ ითამაშა. ჩვენებმა კი... მოდით, ასე ვთქვათ — „დინამო" ინგლისში თამაშობდა, ხოლო რა როგორ გამოუვიდა, ეს, ალბათ, ტელევიზიით ნახეთ. მეტი არც იყო მოსალოდნელი. იმის თხრობით კი, კლუივერტმა თავურით თუ მაკრატელათი საგოლე მომენტები რომელ წუთებზე გააცუდა, თავს აღარ შეგაწყენთ. თუმც გეტყვით, რომ „ნიუკასლმა" ის ვერ მიიღო, რასაც ელოდა...

6:0, 7:0 — მასპინძელი ფანების პროგნოზი — სამი გოლი შირერი, სამიც კლუივერტი — ნიუკასლელებმა ეს ვერ მიიღეს, თუმც, სამაგიეროდ, „სენტ ჯეიმს პარკზე" კარგად კი იხალისეს.

მატჩის დაწყებამდე რვა საათით ადრე საბუქმეიკერო კანტორა „ლენდბროუქსმა" „ნიუკასლ" — „დინამოს" თამაშის ფსონები განაახლა და ერთ საინტერესო ვარიანტს მივაგენი — „ნიუკასლს" რომ 5:0 მოეგო, ფსონის დამდები უჩვეულოდ მცირე მოგებას მიიღებდა — გირვანქაში ორ გირვანქას. არ გამართლდა მათი პროგნოზი, ვინც 5:0 ივარაუდა, მაგრამ...



REUTERS ნიუკასლიდან

ისე კი, მასპინძელთა ისედაც ფიცხი თავკაცი გრემ სუნესი შირერის პირველ, ხოლო „ნიუკასლისთვის" მეასე საშინაო ევროგოლამდე ძალიან ნერვიულობდა. ერთორჯერ სუნესი ნამეტანი გაღიზიანებული წამოხტა და, ჩვენდა გასაკვირად, მასპინძელთაგან ალბათ საუკეთესო რობერს ისე შეუძახა, ფეხბურთელმა ლამის თამაში მიატოვა.

ერთხელაც „სენტ ჯეიმს პარკის" სამხრეთ ტრიბუნაზე „ნიუკასლის" ფანებმა ერთმანეთი კინაღამ დახოცეს. მოგვიანებით, როცა ამ ინციდენტის მიზეზზე ინგლისელ კოლეგას ვკითხე, მიპასუხა, საქმის გარჩევა რობერის გაცუდებულ მომენტს მოჰყვაო. მავან ფანს რობერი თურმე მაგრად გამოულანძღავს, მეორეს კი ეს ვერ აუტანია. რობერის ნაღდი საგოლე მომენტი გეხსომებათ, ტაიმის ბოლოს იყო, გივენის დარტყმულ ბურთს კლუივერტმა და სალუქვაძემ ჰაერში რომ ჩაუქროლეს და რობერი მამალაძესთან პირისპირ დარჩა.

მოკლედ, „დინამოსთან" მატჩისას „ნიუკასლმა" და მისმა თავგადაკლულმა ფანებმა ცოტა კი ინერვიულეს, მაგრამ ამით ჩვენ რა ხეირი.

ხეირი ვერც კლუივერტმა ნახა, თუმც მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად სწორედ ის დაასახელეს. არც რობერი, არც ბელამი... კლუივერტი, ვინც ბარე ხუთი-ექვსი ნაღდი მომენტი გააცუდა, თუმც ერთი ამდენიც შექმნა და, ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, მაგრად ითამაშა.

შირერი საერთოდ, ცალკე საუბრის თემაა და მასთან ინტერვიუს მალე შემოგთავაზებთ. ჯერ კი გეტყვით, რომ ნიუკასლში ასე ყოფილა: არიან ფეხბურთელები და არის ღმერთი სახელად ალან შირერი. ფეხბურთელი, ვისი ერთი ნაბიჯი, ერთი დარტყმა თუ სიტყვაც კი საკმარისია, რათა „სენტ ჯეიმს პარკი" აგუგუნდეს და ჭკუიდან გადავიდეს. აი, ასეთი ფეხბურთელის წინააღმდეგ თამაშობდნენ გუშინ ხან სალუქვაძე, ხანაც შაშიაშვილი და სულაც არ გამკვირვებია, მათ და სხვა დინამოელებს ხშირად ფეხები რომ უკანკალებდათ. სკოლაც ხომ ესაა, დღეს შირერი გეთამაშა, ხვალ-ზეგ სხვაც იქნება და ნელ-ნელა შენც ისწავლი, რა როგორ უნდა აკეთო.

შირერზე ნათქვამის დასტურად კი ეს იყოს...

*გიორგი შაშიაშვილი:* შირერი ლეგენდაა. ასეთი ფეხბურთელი არ მინახავს. ბურთი რომ მისკენ მიდის, წამში იხსნება და ყველა დარწმუნებულია, რომ ბურთს არ დაკარგავს. ჩვენი გუნდისგან კი მეტს ველოდი.

*ლაშა სალუქვაძე:* ვერ გავიგე, შირერი ადამიანია თუ ბოძი. მგონი, მიწაშია ჩარჭობილი და მისი წაქცევა შეუძლებელია. კლუივერტი უფრო სხვანაირია, ჩემი აზრით, შირერს ვერც კი შეედრება.

ნიუკასლი. 4 ნოემბერი. 22.30 საათი. სენტ ჯეიმს პარკი. 27 218

## ნიუკასლი 2:0 დინამო

1:0 შირერი (37), 2:0 ბელამი (56)

1 გივენი

მწვრთნელი გრემ სუნესი

18 ჰიუზი, 3 ელიოტი, 5 ობრაიენი, 35 ბერნარი

7 ჯენასი

29 ბოიერი, 32 რობერი

10 ბელამი

11 კლუივერტი, 9 შირერი

18 მელქაძე

21 კაკალაძე, 6 ალადაშვილი

7 ნემსაძე

3 კანდელაკი, 23 კანკავა

16 კვირკველია, 15 კაშია

4 სალუქვაძე, 5 შაშიაშვილი

მწვრთნელი გია გეგუჩაძე

12 მამალაძე

შეცვლა: ალადაშვილი – 9. ახალაია (62), კაშია – 14. სილაგაძე (62), ბოიერი – 17. ამბროზი (64), ელიოტი – 19. ბრამბლი (69), შირერი– 16. მილნერი (72), მელქაძე – 19. გონჩაროვი (81)

გაფრთხილება: შაშიაშვილი (7), კანკავა (87)

მსაჯები: ესპენ ბერნტსენი; იან პეტერ რანდენი, ერიკ რესტადი; კილ ოლსეტი (ყველა ნორვეგია)



REUTERS ნიუკასლიდან

პატრიკ კლუივერტი უგოლოდ კი დარჩა, მაგრამ მატჩის საუკეთესო მოთამაშედ ის დაასახელეს

## პრესკონფერენცია

ᲒᲘᲐ ᲒᲔᲒᲣᲩᲐᲫᲔ: წავაგეთ და კმაყოფილი როგორ უნდა ვიყო?! ბიჭებს მეტი შეეძლოთ და მეტიც უნდა მოენდომებინათ. „ნიუკასლს" წარმატებებს ვუსურვებ. ვფიქრობ, ჩვენმა ახალგაზრდულმა გუნდმა დიდი გამოცდილება მიიღო.

ᲒᲠᲔᲛ ᲡᲣᲜᲔᲡᲘ: კარგია, რომ მოვიგეთ, მაგრამ უკმაყოფილო ვარ, რადგან ბევრი საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ. შევამჩნევდით, რომ მეორე ტაიმში უფრო დავწყნარდით, ძალები შევინახეთ. „დინამოს" ცუდად არ უთამაშია, მაგრამ ჩვენ ვიყავით ძალიან კარგები.

ᲐᲚᲐᲜ ᲨᲘᲠᲔᲠᲘ: ძალიან კარგად ვითამაშეთ. მე ბევრი ენერგია დავხარჯე და ლაპარაკიც კი მიჭირს. უეფას თასზე შემთხვევითი გუნდი არ თამაშობს. ეტყობა, „დინამო" გამოუცდელია.

ᲙᲠᲔᲘᲒ ᲑᲔᲚᲐᲛᲘ: ჩემს ფლანგზე ზონები ხშირად თავისუფლდებოდა და სწრაფად მოქმედების საშუალება მეძლეოდა. ჩვენი მოგება ლოგიკურია, თუმც მეტი გოლის გატანა შეგვეძლო. მაგრამ მთავარი ხომ სამი ქულაა.

### ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲜᲒᲘ 4:1 ᲞᲐᲜᲘᲝᲜᲘᲝᲡᲘ

1:0 კუშტუდიუ (4), 1:1 მარკორა (35), 2:1 დუალა (38), 3:1 ლიდსონი (79), 4:1 უგო ვიანა (81)

ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲜᲒᲘ: რიკარდუ, როჟერიუ, ენაკარპირე, ანდერსონ პოლგა, რუი ჟორჟე, კუშტუდიუ, კარლუშ მარტინში (ბარბოსა 64), როჩემბაკი (მიგელ გარსია 84), უგო ვიანა, დუალა (დანი 71), ლიდსონი

მწვრთნელი: ჟოზე პეშეირუ

ᲞᲐᲜᲘᲝᲜᲘᲝᲡᲘ: კოლჩიგი, ვლჩეკი, იანოპულოსი, სპიროპულოსი, ექსუძიდისი (მაკოსი 61), გუნდულაკისი (დოდი 76), პაროდი, ლაგონიკაკისი, დომორო, მარკორა (მიტრუ 74), ბრეშკა

მწვრთნელი: გეორგიოს ვაცაკასი

გაფრთხილება: კუშტუდიუ (28), მარკორა (37), რუი ჟორჟე (57)

მსაჯი: მარკუს ნობსი (შვეიცარია)

29 000მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ᲜᲘᲣᲙᲐᲡᲚᲘ | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲜᲒᲘ | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 |
| ᲡᲝᲨᲝ | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ᲞᲐᲜᲘᲝᲜᲘᲝᲡᲘ | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |
| ᲓᲘᲜᲐᲛᲝ | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |

III ᲢᲣᲠᲘ, 25 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

სოშო — ნიუკასლი

დინამო — სპორტინგი

# საქართველო ეგვიპტემ დაპატიჟა

საქართველოს ეროვნული ნაკრებისთვის ამხანაგური მატჩები მუდამ პრობლემა რომაა, არახალია. კარგი გუნდი რომ მოიწვიო, კარგი ფული უნდა გქონდეს და კარგმა გუნდმა რომ მიგიწვიოს, სახელი და წარმატებები უნდა გქონდეს.

მოკლედ, საქართველოს უპირველეს გუნდთან თამაშის სურვილი ეგვიპტის ეროვნულმა ნაკრებმა გამოთქვა. აფრიკელებმა ამის შესახებ უკვე აცნობეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას — ცხადია, ეგვიპტე საქართველოს შინ ეპატიჟება. ერთი სიტყვით, თუ მხარეები მოილაპარაკებენ, მატჩის გამართვის თარიღიც მერელა დადგინდება.

ლუკა თალაკვაძე

# დავიღალე, სული მომათქმევინეთ

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მორიგი, მეთოთხმეტე ტური ზეგ, 7 ნოემბერს გაიმართება. თუმცა, რადგან თბილისის „დინამომ" გუშინ ნიუკასლში ითამაშა და ძალების აღდგენა სჭირდება, ეროვნულ ჩემპიონატს ერთი დღით გვიან დაუბრუნდება: „ზესტაფონი" — „დინამო" ორშაბათს, 8 ნოემბერს გაიმართება.

# იონას სამი გზა აქვს

2002-2003 წლების საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირი *ზურაბ იონანიძე* ქუთაისშია. ჩვენებურმა საბოლოოდ გაწყვიტა ურთიერთობა სიმფეროპოლის „ტავრიასთან" და ახლა ახალ გუნდს ეძებს. ადრეც გაუწყეთ, იონანიძით „ზესტაფონი" რომ იყო დაინტერესებული, თუმცა, ბუნებრივია, ძველი ლიდერის დაბრუნებაზე არც ქუთაისის „ტორპედო" იტყვის უარს. თავად ზურას კი ჯერჯერობით არაფერი გადაუწყვეტია. ყოველ შემთხვევაში, გუშინდელი საუბრისას ასე გვითხრა...



— ახალი ჩამოსული ვარ და ასე უცებ ვერაფერს გეტყვი. სადაც ნორმალურ პირობებს შემომთავაზებენ, იქ წავალ.

— „ზესტაფონში" გადასვლაზე რას ფიქრობ?

— ეს ამბავი ჯერ კიდევ უკრაინაში რომ ვიყავი, მაშინ დაწერილა გაზეთებში. არ ვიცი, რა გითხრა, ჯერ კონკრეტული არაფერი ყოფილა.

— „ტორპედოში" დაბრუნებაზე რას იტყვი?

— რა უნდა ვთქვა?! პირველ ადგილზეა და არა მგონია, ჩემი დახმარება იყოს საჭირო. ვნახოთ...

— „ტავრიადან" რატომ წამოხვედი?

— ახალი მწვრთნელი მოვიდა და ხომ იცი, მერე როგორც ხდება. უთამაშებლობას წამოსვლა ვამჯობინე. ისე, უკრაინაში დაბრუნებასაც არ გამოვრიცხავ. რაღაც ვარიანტებს მპირდებიან და ვნახოთ, რა იქნება.

ქახა შალამბერიძე



# 26 დინამო აიწია

ორიოდ თვის წინ, აგვისტოში, თბილისის „დინამო" მსოფლიოს საუკეთესო კლუბთა 350-ეულში შევიდა და უკან დახევას არც აპირებს. უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე გასული „დინამო" ყოველ თვეში წინ მიიწევს — ასეთია ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციის გამოკითხვის შედეგები.

2003 წლის 1 ნოემბრიდან 2004 წლის 31 ოქტომბრამდე ჯამური მონაცემებით „დინამო" დღეს 223-ე ადგილზეა მსოფლიოში, ანუ სექტემბრის მერე ჩვენებმა 26 საფეხურით აინაცვლეს.

ბოლო გამოკითხვით, მსოფლიოს საუკეთესო კლუბი ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედია", მეორეზე ესპანური „ვალენსიაა", მესამეზე ინგლისური „არსენალი".

საინტერესოა, რომ უეფას თასის ჯგუფური ეტაპის მეტოქეთაგან „დინამო" ორს ჩამორჩება — დღევანდელ მეტოქე „ნიუკასლს" (მე-12 ადგილზეა) და ფრანგულ „სოშოს" (35-ე); სამაგიეროდ, 61 საფეხურით უსწრებს ბერძნულ „პანიონიოსს", ხოლო პორტუგალიური „სპორტინგი" საერთოდ ვერ მოხვდა 350-ეულში.

ქვემორე ცხრილში საუკეთესო ოცეულის გარდა ჩვენი მეტოქეებისა და ქართველ ლეგიონერთა კლუბების შედეგებიცაა ასახული.

ქახა შალამბერიძე

## მსოფლიოს 350 საუკეთესო კლუბი
### 2003 წლის 1 ნოემბერი - 2004 წლის 31 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | (1) | მანჩესტერი (ინგლისი) | 279,0 |
| 2 | (3) | ვალენსია (ესპანეთი) | 274,0 |
| 3 | (4) | არსენალი (ინგლისი) | 271,0 |
| 4 | (6) | მილანი (იტალია) | 267,0 |
| 5 | (2) | რეალი (ესპანეთი) | 265,0 |
| 6 | (13) | მონაკო (საფრანგეთი) | 253,0 |
| 7 | (9) | იუვენტუსი (იტალია) | 252,0 |
| | (6) | სან პაულუ (ბრაზილია) | 252,0 |
| 9 | (11) | სანტოსი (ბრაზილია) | 246,0 |
| 10 | (5) | ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) | 244,0 |
| 11 | (14) | ჩელსი (ინგლისი) | 240,0 |
| 12 | (12) | ნიუკასლი (ინგლისი) | 239,0 |
| 13 | (10) | პორტუ (პორტუგალია) | 233,0 |
| 14 | (24) | ინტერი (იტალია) | 226,0 |
| 15 | (15) | ბრიუგე (ბელგია) | 224,5 |
| 16 | (16) | ბარსელონა (ესპანეთი) | 221,0 |
| 17 | (18) | პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) | 219,5 |
| 18 | (17) | ბენფიკა (პორტუგალია) | 219,0 |
| 19 | (8) | რივერ პლეიტი (არგენტინა) | 218,0 |
| 20 | (23) | ლიონი (საფრანგეთი) | 216,0 |
| 35 | (40) | სოშო (საფრანგეთი) | 171,0 |
| 41 | (44) | შალკე (გერმანია) | 161,0 |
| 56 | (82) | რეინჯერსი (შოტლანდია) | 135,5 |
| 87 | (57) | დინამო (კიევი, უკრაინა) | 118,5 |
| 104 | (118) | ვენტსპილსი (ლატვია) | 111,0 |
| 111 | (88) | ლოკომოტივი (რუსეთი) | 108,5 |
| 152 | (137) | ცსკა (სოფია, ბულგარეთი) | 94,5 |
| 161 | (191) | სკონტო (ლატვია) | 91,0 |
| 174 | (178) | სეპაჰანი (ირანი) | 88,5 |
| 223 | (249) | დინამო (საქართველო) | 79,5 |
| 284 | (183) | პანიონიოსი (საბერძნეთი) | 69,5 |
| 320 | (310) | მეტალურგი (დონეცკი, უკრაინა) | 65,5 |

# სიონს ქვანია გაწვრთნის?



ვაჟა ქვანია და შოთა რეხვიაშვილი „სიონის" ახალი მწვრთნელის ვინაობას მალე გაარკვევენ

ბოლნისის „სიონს" ახლა დროებით გიორგი ყიფშიძე მთავარმწვრთნელობს, თუმცა გუნდს მალე ალბათ სხვა ჩაიბარებს.

„სიონს" მიმდინარე სეზონში ვარლამ კილასონია წვრთნიდა, მაგრამ მეთერთმეტე ტურში გორში „დილასთან" მარცხის (1:2) შემდეგ მან გუნდიდან წასვლა არჩია.

მაშ, ვინ გაუძღვება „სიონს"? კულუარებში უკვე ლაპარაკობენ, რომ „სიონს" კლუბის მენეჯერი ვაჟა ქვანია გაწვრთნის. ამის შესახებ „სიონის" პრეზიდენტ შოთა რეხვიაშვილს დავუკავშირდით. მან გვითხრა, რომ „სიონის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე ერთ-ერთი კანდიდატი სწორედ ქვანიაა.

დავით თავართქილაძე

# ასათიანს პოზები არ უყვარს

მოსკოვის „ლოკომოტივი" განსაკუთრებულად ემზადება თანაქალაქელ „ტორპედოსთან" სათამაშოდ. რკინიგზელები ხომ ერთი ქულით ჩამორჩებიან ლიდერ ცესკას, პრემიერლიგის დასრულებამდე კი ორი ტურიღა დარჩა.

თუ რკინიგზელებმა ჩემპიონობა მოიპოვეს, ეს პირველი რუსული ოქრო იქნება მალხაზ ასათიანისთვის, ვინც „ლოკომოტივში" მეორე სეზონს ატარებს და სადღეისოდ პრემიერლიგის საუკეთესო მცველად მიიჩნევა.

ეს ყველაფერი კი იმიტომ შეგახსენეთ, რომ გუშინწინ „ლოკომოტივის" ვარჯიშზე მომხდარ ერთ ამბავზე გვეთქვა — რკინიგზული კლუბის საინფორმაციო სპონსორმა, ჟურნალმა „პროსპორტმა" ჩვენებურისთვის სარეკლამო ფოტოების გადაღება დააპირა, მაგრამ... ცივი უარი მიიღო. მალხაზმა ფოტოკამერების წინ პოზირება არ ისურვა და ჟურნალისტებს ბოდიშის მოხდით გაეცალა.

გაწბილებული სტუმრები თავად რკინიგზელებმა დაამშვიდეს, რთული მატჩები გველის და ფეხბურთელებიც განსაკუთრებულად ემზადებიანო, თან დაჰპირდნენ, რომ მალხაზს ჩემპიონატის დასრულებისთანავე დაიყოლიებენ.

ლუკა თალაკვაძე





# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. ჯგუფური ეტაპი. IV ტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

## A ჯგუფი

## დეპორტივო აგვიანებს
### რივალდოს მუქარა შურერმა აასრულა

**დეპორტივო 0:1 ლივერპული**

0:1 ჟორჟე-ანდრადე (14ს.კ.)

**დეპორტივო:** მოლინა, ექტორი (სკალონი 66), მ. სესარი (პაბლო ამო 46), ჟორჟე ანდრადე, რომერო, ვიქტორი, დუშერი, სერხიო, ვალერონი, ლუკე, პანდიანი (ტრისტანი 59)

**მწვრთნელი:** ხავიერ ირურეტა

**ლივერპული:** კირკლანდი, ხოსემი, კარაგერი, ჰიიპია, ჯ. ტრაორე, ლუის გარსია (ხაბი ალონსო 90), ჰამანი, ბიშკანი, რიისე, კიუელი (ფინანი 58), ბაროში (სინამა-პონგოლე 85)

**მწვრთნელი:** რაფაელ ბენიტესი

**გაფრთხილება:** სესარი, ბიშკანი, ჟორჟე ანდრადე, ჰიიპია, კარაგერი

**მსაჯი:** ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)

24 000 მაყურებელი

**რაც** „დეპორტივოს" თავს ამ სეზონში ხდება, ნამდვილად გასაკვირია და გუნდის თავკაცებმა ვითარების გამოსასწორებლად დაუყოვნებლივ თუ არ იღონეს რამე, მერე შეიძლება გვიანი არ იყოს.

დაახლოებით ორი თვეა, ლაკორონიული გუნდი ერთი და იგივე შეცდომებს იმეორებს. ანუ გუნდი, რომელმაც გასულ ჩემპიონთა ლიგაში საფეხბურთო ევროპას სენსაციური გამარჯვებებით დაამახსოვრა თავი, ახლა პანიკაშია. ახლაც, „ლივერპულთან" ისინი უკეთ აკონტროლებდნენ ბურთს და თითქოს თამაშის გაუმჯობესების მცდელობაც დაეტყოთ, მაგრამ ეს ტერიტორიული უპირატესობა ვერაფრით გამოიყენეს.

„ლივერპულის" შემართება კი მატჩის დასაწყისშივე შესამჩნევი იყო. ლუის გარსიას გრძელმა პასმა ჩეხი მილან ბაროში დეპორელ მოლინასთან პირისპირ დატოვა, თუმცა ბარომშა მეკარის გაბითურება ვერ შეძლო. საპასუხოდ, კირკლანდის მისადგომებს მასპინძლებმაც შეუტიეს, მაგრამ მცირე ხანში საერიშო გარჯა მწარედ დაუფასდათ — ჟორჟე ანდრადემ მე-14 წუთზე გაიტანა... ხოსე ფრანსისკო მოლინას კარში. ეს ასე მოხდა, ლივერპულელმა დიტმარ ჰამანმა რიისეს ჩააწოდა, მან ბურთი „დეპორტივოს" საჯარიმოში ჩაჰკიდა და პორტუგალიელმა მცველმაც მოგერიების ნაცვლად ტაბლოზე 0:1 აანთო.

შესვენების შემდეგ მატჩის სცენარი არ შეცვლილა — იყო ისევ ლუის გარსიასა და ბაროშის სახიფათო შეტევები, რასაც გალისიელები გააზრებულს ვერაფერს უპირისპირებდნენ, რის შედეგადაც „მიილეს" კვლავ ულიმღამო წაგება და ჯგუფის ცხრილში ბოლო, მეოთხე ადგილი.

**ოლიმპიაკოსი 1:0 მონაკო**

1:0 შურერი (84)

**ოლიმპიაკოსი:** ნიკოპოლიდისი, მავროგენიდისი (გეორგატოსი 70), ანატოლაკისი, შურერი, პანტოსი, რივალდო, სტოლტიდისი, კაფესი, ჯორჯევიჩი (მარიჩი 65), ჯოვანი (კასტილიო 65), ოკასი

**მწვრთნელი:** დუშან ბაევიჩი

**მონაკო:** რომა, გივე, სკილაჩი, როდრიგესი, ევრა, ბერნარდი (დ. პერესი 81), ზიკოსი, პლასილი, კალონი (ფარნერუდი 62), სავიოლა, ადებაიორი (ჩევანტონი 72)

**მწვრთნელი:** დიდიე დეშანი

**გაფრთხილება:** პანტოსი, პლასილი, ევრა, სკილაჩი, სტოლტიდისი, გეორგატოსი, კასტილიო

**მსაჯი:** მარკუს მერკი (გერმანია)

33 500 მაყურებელი

**გაბრიელ შურერის** მატჩის მიწურულს გატანილმა გოლმა ბერძნულ „ოლიმპიაკოსს" დიდიე დეშანის „მონაკოსთან" გაამარჯვებინა.

შეხვედრის პირველი ნახევარი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა, თუმც მასპინძლებზე მეტად, ჩინებული ბურთაობით და საგოლე მომენტებით სტუმრები გამოირჩეოდნენ.

დებიუტი ცხადია, ბერძნებისა იყო.



რივალდო და „ოლიმპიაკოსი" ჯგუფს სათავეში მოექცნენ

მე-13 წუთზე რივალდომ ფლავიო რომას კარის მიმართულებით სახიფათოდ დაარტყა, თუმცა ბურთმა ძელს ზემოდან გადაუფრინა. ცხრა წუთის შემდეგ „ბარსელონასა" და „მილანის" ყოფილი ვარსკვლავი კვლავ დაემუქრა რომას კარს, მაგრამ მეკარემ ამჯერადაც იყოჩაღა.

მიუხედავად ელინური თავდასხმისა, ფრანგები არ დაბნეულან და ანტონის ნიკოპოლიდისს კონტრშეტევებით ხშირად აწუხებდნენ. ასე მაგალითად, ახმახმა ემანულ ადებაიორმა 31-ე წუთზე შეამოწმა ბერძენი მეკარის ოსტატობა, მანამდე კი ხავიერ სავიოლამ სცადა ბედი.

შესვენების შემდეგ კი უკვე „ოლიმპიაკოსი" უტევდა, რისი დასტურიც შურერის 84-ე წუთზე გატანილი ერთადერთი და სამქულიანი გოლია.

„რთული მატჩი იყო. ახლა ჯგუფიდან ნაღდად უნდა გავიდეთ" — განაცხადა კმაყოფილმა დუშან ბაევიჩმა, ბერძენთა მწვრთნელმა.

**ლადო ხომერიკი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 4 | 2 1 1 | | 3:2 | 7 |
| ლივერპული | 4 | 2 1 1 | | 3:1 | 7 |
| მონაკო | 4 | 2 0 2 | | 4:4 | 6 |
| დეპორტივო | 4 | 0 2 2 | | 0:3 | 2 |

**V ტური: 23 ნოემბერი**

**მონაკო — ლივერპული**

**ოლიმპიაკოსი — დეპორტივო**

## B ჯგუფი

## საჩუქ-არის!
### ფიგუმ და იუსუფმა ტორტივით გოლები გაიტანეს





**დინამო 2:2 რეალი**

1:0 იუსუფი (13), 2:0 ვერპაკოვსკისი (23), 2:1 რაული (38), 2:2 ფიგუ (44პ)

**დინამო:** შოვკოვსკი, როდოლფო, საბლიჩი, გავრანჩიჩი, ელ კადური (ნესმაჩნი 65), რინკონი, გიოანე, ო. გუსევი (ლეკო 84), იუსუფი, კლებერი, ვერპაკოვსკისი (ჩერნატი 76)

**მწვრთნელი:** იოჟეფ საბო

**რეალი:** კასილიასი, სალგადო, ელგერა, პავონი, რობერტო კარლოსი, ფიგუ (სოლარი 90), გუტი, ზიდანი, რაული, რონალდო (მორიენტესი 87), ოუენი (სელადესი 59)

**მწვრთნელი:** მარიანო გარსია რემონი

**გაფრთხილება:** რინკონი, გიოანე, ვერპაკოვსკისი, როდოლფო, იუსუფი, ფიგუ

**მსაჯი:** კიროს ვასარასი (საბერძნეთი)

83 000 მაყურებელი

მადრიდის „რეალი" ორი ბურთით მარცხდებოდა კიევში, მაგრამ ორივე ბურთი გაქვითა, ქულა მოიპოვა და ჯგუფიდან გასვლის ისეთივე შანსი შეინარჩუნა, ამ მატჩამდე რომ ჰქონდა.

ანგარიში უკრაინელთა ნიგერიელმა აილა იუსუფმა გახსნა, ვინაც წინა დღით ოცისა მოიყარა, ეს კი მისი პირველი გოლი იყო ჩემპიონთა ლიგაში. ნიგერიელმა დაარტყა, ბურთი მაიკლ ოუენს მოხვდა, მიმართულება ოდნავ იცვალა და კარში შევარდა.

რამდენიმე წუთში „დინამომ" მეორეც გაიტანა. ეს გოლი ლატვიელი მარის ვერპაკოვსკისის ოსტატობის ნაყოფი გახლდათ. და საერთოდაც, გოლებიც რომ არა, კიეველთა უპირატესობა თამაშის ხარისხითაც თვალსაჩინო იყო.

ვინმემ ეგებ იფიქრა კიდეც, „რეალმა" წინა ორ საგარეო მატჩში სამ-სამი გოლი გაუშვა და ახლაც გაასამებსო, მაგრამ სხვაგვარად კი მოხდა. პირველი ტაიმის ბოლოსკენ რაულმა თავისი 48-ე საჩემპიონთთათასო გოლი გაიტანა და ახლა მხოლოდ ერთი ბურთით ჩამორჩება ყველა დროის ბომბარდირს, ძველ და ლეგენდარულ რეალელს ალფრედო დი სტეფანოს. საგოლე პასი კი რაულს ლუიშ ფიგუმ მისცა, ვისაც დაბადების დღე იუსუფის დარად სამშაბათს ჰქონდა, ოღონდ პორტუგალიელი 32 წლისა შესრულდა.

თუმცა ნაღდი საჩუქარი ფიგუმ ცოტა მოგვიანებით გაიკეთა, როცა 83 ათასი კიეველი გულშემატკივარი ჩააჩუმა — „რეალმა" ქულა მისი გატანილი პენალტით გადაარჩინა. თერთმეტმეტრიანი კი რონალდოს წაქცევისთვის დაინიშნა.

ბევრი სათქმელი ნამატჩევს არც იოჟეფ საბოს ჰქონდა და მხოლოდ ეს თქვა: „რა უნდა გითხრათ, როცა 2:0 იგებ და ქულას დასჯერდები... პირველ ტაიმში იმხელა უპირატესობა გვქონდა, „რეალი" მგონი შეგუებულიც იყო მარცხს, მაგრამ პირველი გოლი რომ გავატანინეთ, იმედი მიეცა და მთელი ძალით მოგვაწვა."

მარიანო რემონმა კი თქვა: „შედეგით კმაყოფილი არ ვარ, ჩვენ ხომ კიევში მოსაგებად ჩამოვედით."

**რომა 1:1 ლევერკუზენი**

0:1 ბერბატოვი (82), 1:1 მონტელა (90)

**რომა:** ძოტი, სარტორი (კივუ 63), მექსეში, დელასი, კუფრე, მანსინი, დე მარტინო, აკილანი, დაგოსტინო (მიდო 63), ტოტი, მონტელა (კორვია 90)

**მწვრთნელი:** ლუიჯი დელ ნერი

**ლევერკუზენი:** ბუტი, ბალიტჩი, ჟუანი, როკე ჟუნიორი, პლასენტე, შნაიდერი (ფრაიერი 87), პონტე (კალსენ-ბრაკერი 90), ბაბიჩი, რამელო, კრჟინოვეკი, ბერბატოვი

**მწვრთნელი:** კლაუს აუგენტალერი

**გაფრთხილება:** ბალიტჩი, მონტელა, პლასენტე, მექსეში, ტოტი, რამელო, პონტე, ფრაიერი

**მსაჯი:** ლუსილიუ კორტეს ბატისტა (პორტუგალია)

0 მაყურებელი

ვინჩენცო მონტელას ბოლო წუთზე გაქვითული ბურთით „რომამ" ჯგუფიდან გასვლის შანსი შეინარჩუნა, მაგრამ მოდით, გულახდილად ვთქვათ, რომ ეს შანსი იმდენად მცირეა, თავად რომაელებსაც არ უნდა სჯეროდეთ. მეტიც, არათუ ჯგუფიდან გასვლა, მათი მესამეადგილოსნობა და უეფას თასზე გადაბარგების ალბათობაც საკმაოდ მოკრძალებულად გამოიყურება.

ამის თაობაზე მწვრთნელმა ლუიჯი დელ ნერიმ თქვა: „ეს იმაზე არის დამოკიდებული, შევძლებთ თუ ვერა დარჩენილი ორი თამაშის მოგებას. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ბრძოლას არ ვწყვეტთ და მომდევნო ტურში კიევში უძლიერესი შემადგენლობით ჩავალთ."

„ლევერკუზენთან" შეხვედრაზე კი დელ ნერიმ თქვა: „დღეს ჩვენი გუნდი არაფრით ჰგავდა იმ „რომას", ლევერკუზენში 1:3 რომ წააგო. ვფიქრობ, დღეს დიდებულად ვითამაშეთ და პირველ რიგში ეს მახარებს."

ხოლო კლაუს აუგენტალერმა მატჩი ასე შეაფასა: „გვიანი გოლი რომ გავუშვით, ძალიან გულდასაწყვეტია. თუმცა იმასაც გულახდილად გეტყვით, თამაშამდე რომ ეთქვათ, რომიდან ქულას წაიღებთო, კმაყოფილი დავრჩებოდი. უბრალოდ საწყენია, მოსაგებ თამაშს რომ ვერ მოიგებ."

ისე, „ლევერკუზენიც" გვიანი გოლით დაწინაურდა — ბულგარელმა ბერბატოვმა მეკარე კარლო ძოტის ბურთი თავზე რომ გადაუგდო, თამაშის დასრულებამდე რვა წუთი რჩებოდა.

**კოტე კეკელია**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 4 | 2 | 1 | 1 | 9:5 | 7 |
| რეალი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:7 | 7 |
| ლევერკუზენი | 4 | 2 | 1 | 1 | 9:6 | 7 |
| რომა | 4 | 0 | 1 | 3 | 4:11 | 1 |

**V ტური: 23 ნოემბერი**

**რეალი — ლევერკუზენი**

**დინამო — რომა**

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. ჯგუფური ეტაპი. IV ტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

## C ჯგუფი

# დაგოს ცრემლები

## მიუნხენში ნიჭმა მოიგო

**ბაიერნი 0:1 იუვენტუსი**

**0:1 დელ პიერო (90)**
**ბაიერნი: კანი, სანიოლი (გიორლიცი 46; შოლი 69), ლუსიო, რობერტ კოვაჩი, სალიჰამიჯიჩი (გერერო 90), ფრინგსი, ბალაკი, შვაინსტაიგერი, ჰარგრივსი, მაკაი, პიზარო**
**მწვრთნელი: ფელიქს მაგათი**
**იუვენტუსი: ბუფონი, პესოტო, ტურამი, კანავარო, ძამბროტა, კამორანეზი, ემერსონი, ბლაზი, ნედვედი, დელ პიერო, იბრაჰიმოვიჩი**
**მწვრთნელი: ფაბიო კაპელო**
**გაფრთხილება: კამორანეზი, კანავარო**
**მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)**
**59 000 მაყურებელი**

„იუვენტუსი“ უკვე პლეი ოფშია ანუ ისევე, როგორც წინა დღეს „ჩელსიმ“, მანაც მეორე ეტაპზე თამაში გაინაღდა. საამისოდ ტურინელებმა მიუნხენის „ოლიმპიაშტადიონზე“ „ბაიერნს“ 90-ე წუთზე გაუტანეს გოლი. ეს მას მერე მოხდა, რაც ზლატან იბრაჰიმოვიჩმა მარცხენა ფრთაზე ბურთი ორ მეტოქეს არ დაუთმო, ჩამოიტოვა ისინი და კარში დაარტყა, სადაც ოლივერ კანმა მისი ხელში შემაგრება ვერ შეძლო, ხოლო ცხვირწინ მდგომმა ალესანდრო დელ პიერომ დაამატა.

მანამდე შეხვედრა საკმაოდ სწრაფად მიმდინარეობდა. მეტოქეები მჭიდროდ მეურვეობდნენ ერთმანეთს, თამაშის „ჩაკეტვას“ ცდილობდნენ. აღსანიშნავია, რომ მასპინძლებმა რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს ტურინელების კართან, მაგრამ თუ ამ მატჩს გმირი ჰყავდა, ეს მეკარე ჯანლუიჯი ბუფონი გახლდათ.

„დღესაც იგივე უნდა გავიმეორო, რაც წინა, ტურინული შეხვედრის შემდეგ ვთქვი — დასაწყისში ძლიერად ვითამაშეთ, პირველ ტაიმში ერთი გოლი მაინც უნდა გაგვეტანა, მაგრამ ვერ მოვახერხეთ და ამის გამო ბოლოსკენ საკუთარი ძალების რწმენა დავკარგეთ. მოკლედ, მეტოქის დამარცხება ნამდვილად შეგვეძლო, როდესაც თამაშის შედეგი უკვე ფრეს ჰგავდა, „იუვენტუსმა“ გოლი გაგვიტანა.

შეცდომებს ყველა ფეხბურთელი უშვებს, არა მხოლოდ ოლივერ კანი, არამედ, მაგალითად, იენს ლემანიც. ჩვენ იმ ეპიზოდში სხვა რამ გვმართებდა, ჩვენს ორ მცველს იბრაჰიმოვიჩისთვის ბურთი უნდა წაერთმია.

არა უშავს, მდგომარეობა დრამატული ნამდვილად არ არის, რადგან „მაკაბიმ“ „აიაქსს“ მოუგო. ჩვენ უბრალოდ, ჯგუფში პირველ ადგილზე გასვლის შანსი დავკარგეთ“ — განაცხადა ნამატჩევს „ბაიერნის“ მწვრთნელმა ფელიქსს მაგათმა.

„პირველი 20 წუთის განმავლობაში „ბაიერნმა“ დიდი სისწრაფით და თავდადებით ითამაშა — დაეთანხმა კოლეგას „ბებერი ქალბატონის“ თავკაცი ფაბიო კაპელო — მასპინძლებმა სერიოზული პრობლემები შეგვიქმნეს, მაგრამ ჩვენც კარგად ვითამაშეთ. შესვენების შემდეგ ჩვენ ვაკონტროლებდით ბურთს, თუმცა საგოლე მომენტები „ბაიერნმა“ უთუოდ მეტი შექმნა. რაც შეეხება ბოლო წუთს, იქ უკვე იბრაჰიმოვიჩმა ნიჭი, ხოლო დელ პიერომ თავისი დიდი ფეხბურთელობა დაამტკიცეს. ცხადია, ბოლოწამს მაკაისაც უმტყუნა იღბალმა“.



ბაიერნი — იუვენტუსი. ოლივერ კანი ისევ შეცდა

მიხაელ ბალაკი, „ბაიერნის“ ნახევარმცველი: „ბოლო წუთზე გოლის გაშვება ყოველთვის მძიმეა. სამწუხაროდ, მატჩის განმავლობაში ბევრი საგოლე მომენტი შევქმენით, მაგრამ ვერ ვისარგებლეთ. საერთოდ კი ყურადღება ნებისმიერი თამაშის მიწურულს კლებულობს. სხვა საქმეა, რომ ამით თავს ვერ ვიმართლებთ. გოლამდე იბრაჰიმოვიჩმა ორი მცველი მოგვიტყუა და სწორედ ეს არ უნდა მომხდარიყო“.

**მაკაბი 2:1 აიაქსი**

**1:0, 2:0 დაგო (49, 57), 2:1 სნეიდერი (88)**
**მაკაბი: შტრაუბერი, აბო-სიამი, სტროოლი (რეისი 71), ჯოვანინი, მოოსა, მიშაელოფი, ტ. კოენი, მესიკა, დაგო, ლ. კოენი (პანცილი 77), ი. ადო (ზიტონი 86)**
**მწვრთნელი: ნირ კლინგერი**
**აიაქსი: შტეკელენბურგი, გრიგერა, ჰეიტინგა, ნ. დე იონგი, ტრაბელსი, ვან დერ ვაარტი, ობოდაი (სონკო 58), სნეიდერი, მიტეა (ბუხარი 54), როსალესი, პიენაარი (დე რიდერი 70)**
**მწვრთნელი: რონალდ კუმანი**
**გაფრთხილება: პიენაარი**
**მსაჯი: ვლადიმირ ჰრინაკი (სლოვაკეთი)**
**24 000 მაყურებელი**

დაგოს ორმა გოლმა თელ ავივის „მაკაბის“ ჩემპიონთა ლიგაში პირველი, ისტორიული გამარჯვება მოუტანა.

დაგომ მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ მისმა გუნდმა დამსახურებულად მოიგო:

„დაცვიდან ვითამაშეთ, მაგრამ ორი გოლი გავიტანეთ. ბედნიერი ვარ. იმისთვის, რომ ჩემი განცდა გაგაგებინოთ, თქვენც ფეხბურთელები უნდა იყოთ. ორი წლის წინ, ამავე სტადიონზე ისრაელის ჩემპიონის ტიტული რომ მოვიპოვეთ, ვტიროდი და ასევე მოხდა დღეს გოლების შემდეგ. რამდენ ფეხბურთელს აქვს ჩემპიონთა ლიგაში თამაშის ბედნიერება და მათგან რამდენს გააქვს ორი გოლი ერთ თამაშში. დღევანდელი სიხარული ისრაელის ჩემპიონობას უდრის“.

რონალდ კუმანი, „აიაქსის“ მწვრთნელი:

„პირველ ტაიმში ბურთს ძირითადად ჩვენ ვფლობდით, მაგრამ მომენტი, ფაქტობრივად, არ შეგვიქმნია. დღეს „მაკაბი“ გაცილებით უკეთ თამაშობდა, ვიდრე ამსტერდამულ შეხვედრაში. შესვენებისას სრული შეგრძნება გვქონდა, რომ მოწინააღმდეგე მთელ თამაშს ველარ გაძლებდა, მაგრამ ორი წარმოუდგენელი გოლი გავუშვით. დღეს დავრწმუნდი, რომ აქ, თელ ავივში თამაში ძალიან ძნელია. „ბაიერნს“ ეს გამოცდილება ჩვენამდე ჰქონდა. მწამს, ამასვე იგრძნობს „იუვენტუსი“.

ნირ კლინგერი, „მაკაბის“ მწვრთნელი:

„დაცვასა და ნახევარდაცვაში ძალიან ორგანიზებულები ვიყავით. მეტოქეს სამოქმედოდ გასაქანი არ მივეცით. დამსახურებულად გავიმარჯვეთ. ჩემი ფეხბურთელების ასაკსა და ეროვნებას არასდროს ვანიჭებ ყურადღებას, მაგრამ დღეს მინდა სიამაყით ვთქვა, რომ „აიაქსის“ მძლეველი მოთამაშეებიდან შვიდი „მაკაბის“ აღზრდილია“.

**პაპუნა კედია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 4 | 4 | 0 | 0 | 4:0 | 12 |
| ბაიერნი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:2 | 6 |
| აიაქსი | 4 | 1 | 0 | 3 | 4:7 | 3 |
| მაკაბი | 4 | 1 | 0 | 3 | 2:6 | 3 |

V ტური: 23 ნოემბერი

**ბაიერნი — მაკაბი**
**იუვენტუსი — აიაქსი**

## D ჯგუფი

# ჰოლანდიური სასწაული — 35




REUTERS

მანჩესტერი — სპარტა. რუუდ ვან ნისტელროის ოთხიდან მესამე

**მანჩესტერი 4:1 სპარტა**

**1:0, 2:0 ვან ნისტელროი (14, 25პ), 2:1 ზელენკა (53), 3:1, 4:1 ვან ნისტელროი (60, 90)**
**მანჩესტერი: კეროლი, გ. ნევილი, ფერდინანდი, ბრაუნი, ჰაინცე, კ. რონალდო (კლებერსონი 69), კინი, მილერი, სქოულზი (ფ. ნევილი 69), ვან ნისტელროი, რუნი**
**მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი**
**სპარტა: ბლაჟეკი, პერგლი, ჰომოლა, რადოსლავ კოვაჩი, პეტრაში, პობორსკი, შივოკი, ზელენკა, ვორიშეკი (მედუნა 72), ურბანეკი (შიმაკი 82), იუნი (პაჩანდა 80)**
**მწვრთნელი: ფრანტიშეკ სტრაკა**
**გაფრთხილება: პობორსკი, მილერი, ბრაუნი, ჰომოლა, პობორსკი**
**გაძევება: პობორსკი (88)**
**მსაჯი: ალან ჰამერი (ლუქსემბურგი)**
**66 706 მაყურებელი**

მარკო ვან ბასტენი, სიმონე ინძაგი, დადო პრსო და ახლა უკვე რუუდ ვან ნისტელროი — ეს ფორვარდები ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში შევიდნენ, რადგან ერთ მატჩში ოთხი გაიტანეს. სერ ალექს ფერგიუსონმა „პორტსმუთთან“ წაგებული თამაშის შემდეგ თქვა, ვან ნისტელროი ძალიან გვაკლდაო, ჰოლანდიელმა „სპარტასთან“ შეხვედრაში მწვრთნელის ნათქვამი გაამართლა. „სასწაულია — განაცხადა ფერგიუსონმა — მისი დარი თავდამსხმელი გუნდში არასოდეს გვყოლია. შეტევის დასრულებისას ვან ნისტელროის სიმშვიდე განსაცვიფრებელია. ამიტომ გაიტანა ჩემპიონთა ლიგის 36 მატჩში 35 გოლი“.

„სპარტას“ მცველმა ირჟი ჰომოლამ საკუთარი გუნდის რბევა მეთოთხმეტე წუთზე დაიწყო, როცა მეკარეს უკან დაუბრუნა ბურთი, რომელიც მასპინძელთა ჰოლანდიელმა ფორვარდმა მიითვისა და ბლაჟეკს გაუტანა.

ამის შემდეგ პოლ სქოულზმა საეჭვო პენალტი მოინადირა და რუუდ ვან ნისტელროიმ ბურთი მეკარისგან მარცხენა დაბალ კუთხეში შეასრიალა.

მეორე ტაიმის დასაწყისში ჩეხებმა კოხტა კომბინაცია მოქსოვეს. ზელენკამ იუნთან კედელი გაითამაშა, საჯარიმოში შეენთო და როი კეროლი უშანსოდ დატოვა — 2:1, მაგრამ მოედანზე მოუსვენარი ჰოლანდიელი მეგოლე დაძრწოდა, რომელმაც ცენტრიდან მიღებული ბურთი ბლაჟეკს თავზე გადაავლო და ანგარიშში სხვაობა გაზარდა.

მატჩის დასრულებამდე ორი წუთით ადრე კარელ პობორსკიმ მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და გააძევეს, კაცნაკლულ „სპარტას“ კი წერტილი ფერგიუსონისგან ნაქებმა დაუსვა — ლაიამ მილერის პასით ორიოდ მეტრიდან შეაგდო და პრაღელთა ტანჯვა დასრულდა.

**ლიონი 4:2 ფენერბაჰჩე**

**0:1 სელჩუკი (14), 1:1 ესიენი (22), 2:1 მალუდა (53), 2:2 თუნჯაი (73), 3:2, 4:2 ნილმარი (90, 90)**
**ლიონი: კუპე (პიუდებუა 72), რევეიერი, კრისი, ლ. დიატა, აბიდალი, მ. დიარა, ესიენი, ჟუნინიო პერნამბუკანო, გოვუ (ნილმარი 70), მალუდა, ფრო (ბენ აფრა 83)**
**მწვრთნელი: პოლ ლე გუენი**
**ფენერბაჰჩე: რუშთუ, სერვეთი, ფაბიო ლუსიანო, დენიზი, უმით ოზატი, მარკო აურელიო, სერქანი, სელჩუკი, ალექსი (ვან ჰოიდონკი 89), სერჰათი (მეჰმეთი 85), თუნჯაი (ლიმა ფაბიანო 90)**
**მწვრთნელი: კრისტოფ დაუმი**
**გაფრთხილება: სერვეთი, სერქანი, სერვეთი, მარკო აურელიო**
**გაძევება: სერვეთი (75)**
**მსაჯი: მარკო ივალდი (იტალია)**
**35 000 მაყურებელი**

„ლიონი“ ამ სეზონში დაუმარცხებელია. გუნდს ჩემპიონატში თუ ჩემპიონთა ლიგაში ჯერ თამაში არ წაუგია. პოლ ლე გუენმა „ფენერბაჰჩესთან“ მატჩის შემდეგ თქვა, არ მჯერა, რომ უკვე ოთხი ტურის შემდეგ მერვედფინალში გავედითო. 70-ე წუთზე მწვრთნელმა იღბლიანი შეცვლა გააკეთა — სიდნეი გოვუს ნაცვლად ნილმარი შეუშვა, რომელმაც შეხვედრის მიწურულს ორ წუთში ორი გოლი მიითვალა და „ლიონი“ მერვედფინალში ნაადრევად გაიყვანა.

ანგარიში თურქებმა გახსნეს. სელჩუკმა შორიდან დასცხო ბურთს და მცველის ფეხიდან გეზნაცვალი გრეგორი კუპეს კარში შევარდა. მასპინძლებმა მალე გაათანაბრეს — ლამაზი კომბინაციის შედეგად მიკაელ ესიენმა საპენალტე ადგილიდან გაუტანა რუშთუს.

მეორე ტაიმში „ლიონი“ მალუდამ დააწინაურა. პიერ-ალან ფრომ მარცხენა ფლანგიდან ჩააწოდა, მალუდამ კი ახლოდან ზუსტად დაჰკრა. ამის შემდეგ გრეგორი კუპე შეცდა და კინაღამ დაისაჯა — ფენერბაჩელმა ალექსმა შეცდომა ვერ შეირგო.

72-ე წუთზე გრეგორი კუპე დაშავდა, რომელიც პიუდებუამ შეცვალა და კარში ახალჩამდგარი იყო, გოლი რომ გაუშვა. ნაკუთხურალი ბურთი ლიონელმა მცველებმა საჯარიმოდან ვერ გაიტანეს და თუნჯაიმ ლამის კარის ხაზიდან დარტყმით შეაგდო.

„ფენერბაჰჩე“ თითქოს კვლავ გაცოცხლდა, თუმც სერვეთმა მეორე წითელი ბარათი მიიღო და სტამბოლელები კაცნაკლულნი დარჩნენ. „ლიონს“ ათკაცა მეტოქის დასამარცხებლად 15 წუთი ჰქონდა და სტუმართა დაჩოქება თამაშის მიწურულსღა მოახერხა. ჟუნინიოს ჩაწოდებული ბურთი ნილმარს თავზე თუ ზურგზე გაეხახუნა და დაბნეული რუშთუს კარში აღმოჩნდა. ბოლოს კი გასათანაბრებლად მომართული „ფენერი“ მასპინძლებმა კონტრშეტევაზე გამოიჭირეს და ნილმარმა ბურთი ახლოდან შეაგორა კარში.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 4 | 3 | 1 | 0 | 11:6 | 10 |
| მანჩესტერი | 4 | 2 | 2 | 0 | 12:5 | 8 |
| ფენერბაჰჩე | 4 | 1 | 0 | 3 | 6:13 | 3 |
| სპარტა | 4 | 0 | 1 | 3 | 2:7 | 1 |

V ტური: 23 ნოემბერი

**მანჩესტერი — ლიონი**
**სპარტა — ფენერბაჰჩე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ხოაკინს ჩელსის უმზადებენ

სევილიის „ბეტისის“ პრეზიდენტმა რუის დე ლოპერამ განაცხადა, რომ მზადაა, ხოაკინი ლონდონის „ჩელსის“ მიჰყიდოს. ხოაკინ სანჩესი სევილიური გუნდის ყველაზე გამორჩეული ფეხბურთელია. მისი შეძენა მადრიდის „რეალსაც“ სურდა, მაგრამ კლუბმა მადრიდელთა წინადადება იუარა. შემდეგ „ბეტისს“ რამდენიმე პრემიერლიგელმაც მიაკითხა, მათ შორის „ჩელსიმ“ და, პრეზიდენტის აზრით, ყველაზე მისაღები პირობები სწორედ „არისტოკრატებმა“ შესთავაზეს.

„დარწმუნებული ვარ, ხოაკინი სხვაგან თუ გადავა, ის კლუბი მადრიდის „რეალი“ ნაღდად არ იქნება. ისეთი წინადადებები მივიღეთ, რომ „სამეფო კლუბი“ მათ ვერც შეედრება. ჩემი აზრით, საუკეთესო ვარიანტი ლონდონის „ჩელსია“. „არისტოკრატებს“ ხოაკინის წაყვანა შარშანაც სურდათ, მაგრამ გასული სეზონის ბოლოს კლაუდიო რანიერი გაუშვეს და გეგმებიც ამიტომ აირია. ახლა კი ყველაფერი დალაგდა. „ჩელსი“ თუ მონდომებს, ფეხბურთელს აუცილებლად დავუთმობთ“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ეს იყო პროვოკაცია!
## ადრიანომ კანეირას დარტყმულზე დაარტყა

„ვალენსიასთან“ შეხვედრის ბოლოს ინტერელმა ადრიანომ მეტოქეს, მარკო კანიერას სახეში ტყუპი მუშტი უთავაზა და...

„მინდა ბოდიში მოვუხადო თანაგუნდელებს, მთელ კლუბს და ქომაგებს — განაცხადა ბრაზილიელმა — ჩემი მხრიდან პროვოკაციაზე პასუხი დიდი შეცდომა იყო. მინდა დაგარწმუნოთ, რომ კარიერაში პირველ გაძევებას ძალიან განვიცდი, თუმცა იმასაც გავიმეორებ, რაც თამაშის დამთავრებისთანავე ვუთხარი მსაჯს, მე უბრალოდ თავს ვიცავდი“.

ადრიანოს, ცხადია, დისკვალიფიკაცია არ აცდება, თუმცა „ინტერში“ იმედოვნებენ, რომ სასჯელი ძალიან მკაცრიც არ იქნება.

„ვიდეოჩანაწერი ადასტურებს, რომ ადრიანოს საქციელი პროვოკაციაზე პასუხი გახლდათ. მსაჯს რომ დაენახა, როგორ გაარტყა კანიერამ ადრიანოს, მასაც გააძევებდა“ — განმარტა „ინტერის“ პრეზიდენტმა, წარსულში დიდმა ვარსკვლავმა ჯაჩინტო ფაკეტიმ — ეს სულ სხვა ისტორიაა, ვიდრე ის, ალვარო რეკობას სამი წლის წინ ბარსელონაში რომ შეემთხვა. მაშინ რეკობა სამმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს, მაგრამ ადრიანოს შემთხვევაში უფრო ლმობიერ ვერდიქტს ველით“.

„ინტერის“ გასახარად მატჩზე უეფასგან მივლინებულმა დელეგატმა მომენტი თავისი თვალით იხილა და სადისციპლინო კომიტეტში ვიდეომასალასაც წარადგენს.

**პაპუნა ძიძია**





# მანჩინის ორიანი დაუწერეს

მილანის „ინტერის“ თავკაცი რობერტო მანჩინი თავისი კლუბის მომავალ ორ მატჩს, „ფიორენტინასთან და „ბოლონიასთან“ ტრიბუნიდან მიადევნებს თვალს. იტალიის ფეხბურთის ლიგამ მას მსაჯის გალანძღვა არ აპატია.

გეხსომებათ, სერია A-ს გასულ ტურში „ინტერმა“ რომის „ლაციოს“ უმასპინძლა და გამარჯვება ვერ შეძლო, რასაც მანჩინი იმ შეხვედრის მთავარ არბიტრ მატეო ტრეფოლონის აბრალებს. შევნიშნოთ, რომ ეს უკანასკნელი მართლაც შეცდა რამდენჯერმე. მატჩის შემდეგ მანჩინიმ არაერთხელ გააკრიტიკა ტრეფოლონი და მის მიუკერძოებლობაშიც ეჭვი შეიტანა, რის გამოც დაისაჯა კიდეც.

გარდა ამისა, „ინტერი“ 1 800 ევროთი დაჯარიმდა, ხოლო კლუბის არგენტინელ ლეგიონერი ხუან სებასტიან ვერონს უხეში თამაშისთვის ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს.

იტალიის ფეხბურთის ლიგამ განზრახ უხეშობისთვის ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციით კიდევ 6 ფეხბურთელი დასაჯა: მესტო (რეჯინა), მუნტარი (უდინეზე), ძამპანა (მესინა), ნიგაარდი, დი ბიაჯო და სკული (ბრეშა).

**გიორგი ძაძაბაძე**

## იტალია

**სერია B. გადადებული მატჩი**

**ალბინოლეფე 3:3 ტრიესტინა**

0:1 სოლიგო (16), 1:1 რუგონეზი (25), 2:1, 3:1 არაბონი (30, 56), 3:2 გოდეაში (72), 3:3 მუნარი (81)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ემპოლი | 11 | 8 | 2 | 1 | 20:7 | 26 |
| ჯენოა | 11 | 6 | 4 | 1 | 25:11 | 22 |
| ტორინო | 11 | 6 | 2 | 3 | 14:9 | 20 |
| ასკოლი | 11 | 6 | 2 | 3 | 16:14 | 20 |
| პერუჯა | 11 | 5 | 4 | 2 | 17:10 | 19 |
| პიაჩენცა | 11 | 6 | 1 | 4 | 18:17 | 19 |
| ალბინოლეფე | 11 | 5 | 3 | 3 | 17:13 | 18 |
| ვერონა | 11 | 5 | 2 | 4 | 20:14 | 17 |
| ჩეზენა | 11 | 4 | 4 | 3 | 11:10 | 16 |
| ვიჩენცა | 11 | 5 | 1 | 5 | 16:17 | 16 |
| არეცო | 11 | 3 | 6 | 2 | 21:16 | 15 |
| კატანია | 11 | 4 | 3 | 4 | 13:16 | 15 |
| ტრიესტინა | 11 | 4 | 2 | 5 | 16:19 | 14 |
| კატანძარო | 11 | 3 | 3 | 5 | 14:14 | 12 |
| ტერნანა | 11 | 3 | 3 | 5 | 11:16 | 12 |
| ვენეცია | 11 | 3 | 2 | 6 | 9:14 | 11 |
| მოდენა | 11 | 4 | 2 | 5 | 11:13 | 10 |
| პესკარა | 11 | 2 | 4 | 5 | 11:17 | 10 |
| ბარი | 11 | 2 | 4 | 5 | 9:12 | 9 |
| კროტონე | 11 | 2 | 3 | 6 | 9:16 | 9 |
| ტრევიზო | 11 | 2 | 3 | 6 | 9:16 | 9 |
| სალერნიტანა | 11 | 1 | 4 | 6 | 7:23 | 7 |

*„მოდენას“ დაკლებული აქვს 4, „ბარის“ 1 ქულა*

## დანია

**სუპერლიგა. XIII ტური**

**ორჰუსი 2:1 ოლბორგი**
**ესბიერგი 2:2 ბრონდბიუ**
**მიდტიულანდი 2:0 კოპენჰაგენი**
**ნორდსიელანდი 2:2 რანდერსი**
**ოდენსე 5:0 ჰერფიოლგე**
**ვიბორგი 1:1 სილკებორგი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრონდბიუ | 14 | 9 | 4 | 1 | 23:9 | 31 |
| ვიბორგი | 14 | 7 | 4 | 3 | 16:11 | 25 |
| მიდტიულანდი | 14 | 7 | 3 | 4 | 21:18 | 24 |
| ოდენსე | 14 | 7 | 1 | 6 | 29:18 | 22 |
| ორჰუსი | 14 | 6 | 4 | 4 | 24:19 | 22 |
| კოპენჰაგენი | 14 | 5 | 5 | 4 | 21:23 | 20 |
| ესბიერგი | 14 | 5 | 4 | 5 | 28:23 | 19 |
| ოლბორგი | 14 | 5 | 3 | 6 | 22:17 | 18 |
| სილკებორგი | 14 | 4 | 2 | 8 | 22:26 | 14 |
| ჰერფიოლგე | 14 | 4 | 2 | 8 | 14:32 | 14 |
| ნორდსიელანდი | 14 | 3 | 4 | 7 | 17:25 | 13 |
| რანდერსი | 14 | 2 | 4 | 8 | 13:29 | 10 |

## ინგლისი

**ჩემპიონატი. XVII ტური**

**ქოვენთრი 1:1 პრესტონი**

1:0 სუფო (493), 1:1 ლუისი (68)

**დერბი ქაუნთი 3:0 ბრაიტონი**

1:0 სმიტი (9), 2:0, 3:0 რასიაკი (49, 80)

**ლიდსი 1:2 ბარნლი**

1:0 რაიტი (1), 1:1 რონში (10), 1:2 დუფი (31)

**ნოტინგემი 2:2 როტერჰემი**

0:1 სედგვიკი (19), 0:2 ჯუნიორი (27), 1:2 ჯონსონი (52), 2:2 კინგი (633)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უიგანი | 17 | 11 | 6 | 0 | 35:11 | 39 |
| იფსვიჩი | 17 | 9 | 6 | 2 | 36:21 | 33 |
| სანდერლენდი | 17 | 9 | 4 | 4 | 25:13 | 31 |
| რედინგი | 17 | 9 | 4 | 4 | 25:15 | 31 |
| ქუინზ პარკი | 17 | 9 | 3 | 5 | 27:21 | 30 |
| ვესტ ჰემი | 17 | 8 | 4 | 5 | 21:19 | 28 |
| შეფილდი | 17 | 7 | 5 | 5 | 21:23 | 26 |
| დერბი | 17 | 7 | 4 | 6 | 25:22 | 25 |
| უოტფორდი | 16 | 6 | 6 | 4 | 21:15 | 24 |
| სტოკი | 17 | 6 | 6 | 5 | 14:15 | 24 |
| მილუოლი | 15 | 6 | 4 | 5 | 14:14 | 22 |
| პლიმუთი | 17 | 6 | 4 | 7 | 23:24 | 22 |
| პრესტონი | 17 | 6 | 4 | 7 | 21:23 | 22 |
| ლესტერი | 17 | 4 | 9 | 4 | 19:18 | 21 |
| ბარნლი | 17 | 4 | 9 | 4 | 15:16 | 21 |
| ქოვენთრი | 17 | 4 | 7 | 6 | 23:28 | 19 |
| ბრაიტონი | 17 | 5 | 4 | 8 | 14:24 | 19 |
| ლიდსი | 16 | 4 | 6 | 6 | 12:14 | 18 |
| კარდიფი | 17 | 4 | 6 | 7 | 18:22 | 18 |
| ვულვზი | 16 | 4 | 5 | 7 | 19:22 | 17 |
| ქრიუ | 16 | 4 | 4 | 8 | 27:36 | 16 |
| ნოტინგემი | 17 | 2 | 8 | 7 | 17:25 | 14 |
| ჯილინგემი | 17 | 4 | 2 | 11 | 15:30 | 14 |
| როტერჰემი | 17 | 0 | 6 | 11 | 9:25 | 6 |

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

# პირესმა დომენეკი დუელში გამოიწვია

რობერ პირესს ნაკრების მწვრთნელის გაკრიტიკებისთვის საქმის გარჩევა ელის. ლონდონის „არსენალის“ ლეგიონერი ორშაბათს სამსჯავროზე წარსდგება — საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, კლოდ სიმონესა და ლიგის პრეზიდენტ ფრედერიკ ტირიეს შეხვდება, რომლებსაც თავის პრეტენზიას ჩამოუყალიბებს. ამ შეხვედრას თავად „სამფეროვანთა“ თავკაცი რაიმონ დომენეკი არ დაესწრება, რადგან მას ცალკე გაესაუბრებიან.

31 წლის პირესმა, რომელსაც 79 სანაკრებო მატჩში უთამაშია, გასულ ხუთშაბათს „ფრანს ფუტბოლთან“ ინტერვიუში თქვა: „დომენეკი სიტყვით და საქციელით მანიშნებს, რომ არ მენდობა. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს სკოლაში ვარ და 20 წლის ბიჭივით ახლა ვიწყებ ფეხბურთის თამაშს. მწვრთნელი, იმის ნაცვლად, რომ ჩვენ შორის ურთიერთობა დაატკბოს, გვძაბავს და ვითარებას ამძიმებს. ესაა მთელი პრობლემა ფეხბურთელებსა და დომენეკს შორის. ჩემს ნერვებზე არ უნდა ითამაშოს, თორემ საპასუხოდ იგივეს მიიღებს“.

არსენალელი ბოლო სანაკრებო შეხვედრებში არ ბრწყინავს. ირლანდიასთან საშინაო შესარჩევ მატჩში ძირითად შემადგენლობაში იყო, თუმც ნიქოზიაში, კვიპროსთან მოგებულ შეხვედრაში, მწვრთნელმა შეცვალა. ამ შეცვლამ რობერ პირესი გაახელა და განაცხადა: „კვიპროსთან პარიზში, „სტად დე ფრანსზე“ რომ გვეთამაშა და დომენეკს შევეცვალე, ნაკრებიდან უეჭველად სამუდამოდ ავიბარგებოდი, ნაღდად გავგიჟდებოდი, საკუთარ თავს ვერ გავაკონტროლებდი და ეგებ იქვე კონფლიქტი მომხდარიყო. როცა დომენეკმა მითხრა, შენს ნაცვლად დანიელ მორეირა უნდა შევიდესო, გავცოფდი. ჩემს კარიერაში მსგავსი რამ პირველად განვიცადე“.

ორშაბათის შეხვედრისას რობერ პირესს სხვა ბრალდებებზეც მოუწევს პასუხის გაცემა. საფრანგეთის ტელევიზიის ერთ-ერთ არხზე იგი ამას წინათ საკუთარი სპონსორის ნიშნიანი ტანსაცმლით გამოჩენილა, რაც სანაკრებო კონტრაქტით ეკრძალება.

**ვაჟა ხუციშვილი**



# ადრიან მუტუ შვიდთვიანია



კოკაინის მოყვარული ადრიან მუტუ ერთი კვირის წინ „ჩელსიდან“ გააძევეს, გუშინ კი დისციპლინარებმა მისი საქმე განიხილეს და შვიდთვიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს. რუმინელი ფორვარდი შვიდი თვით ფეხბურთისგან დაისვენებს.

დისკვალიფიკაციის გარდა მუტუს 20 ათასი გირვანქა შეაწერეს და პერიოდულად კოკაინზე ტესტებსაც გაივლის, რომ წამლისკენ ხელი კიდევ არ წაუცდეს. სასჯელი ძალაშია 25 ოქტომბრიდან და 2005 წლის 18 მაისს დასრულდება. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს ანტიდოპინგური სააგენტო ფეხბურთელის ორი წლით მოკვეთას ემხრობოდა. ადრიან მუტუს შეეძლო გაესაჩივრებინა ბრალდება, მაგრამ მან ეს არ გააკეთა. რუმინელის აგენტმა ვიქტორ ბეკალიმ განაცხადა, ჩემი კლიენტის მომავალზე არ ვნერვიულობ, რადგან რამდენიმე კლუბმა მისი შეძენის სურვილი უკვე გამოთქვა და დისკვალიფიკაციის ვადის გასვლისთანავე კონტრაქტს გავჩარხავო.

**ვაჟა ხუციშვილი**

# არიენ რობენის მე



**ლონდონის „ჩელსის“ ჰოლანდიელმა ლეგიონერმა არიენ რობენმა მოსკოვში ცსკა-ს ბრწყინვალე გოლი გაუტანა. ყმაწვილ „არისტოკრატს“ ამ შეხვედრაში ახალთახალი ბუცები ეცვა. ახალ გუნდთან და ახალ გარემოსთან შეგუება რობენისთვის პრობლემა არასოდეს ყოფილა. იგი ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე იყო, როცა ჰოლანდიის ჩვიდმეტწლამდელთა ნაკრებში თამაშობდა. არიენ რობენი, რომელიც პატარა ქალაქ ბედუმში დაიბადა, საკუთარ თავზე გვიამბობს**

„ბალღობაში რომარიოს თაყვანისმცემელი ვიყავი. ამიტომაც შემიყვარდა პსვ, ბრაზილიელი ხომ იქ თამაშობდა. ბედუმი გრონინგენთან ახლოსაა და მეც საფეხბურთო კარიერა ამ ქალაქში დავიწყე. ჰო, კინაღამ დამავიწყდა, მამა „გრონინგენს“ წვრთნიდა“.

მამაშვილობას რობენის ფეხბურთელობაზე გავლენა არ მოუხდენია, რადგან ფაქტია — რობენის დარი ნიჭიერი მოთამაშე ბედუმში მანამდე არ დაბადებულა. არიენი სკოლაში ველოსიპედით დადიოდა. ყოველდღე ოც კილომეტრს გადიოდა. მისი კლასელები „გრონინგენს“ ქომაგობდნენ და ამაყობდნენ, რომ მათი თანაკლასელი ამ კლუბში ჩარიცხეს.

„ყოველდღე, ველოსიპედით მგზავრობისას, ათას რამეზე ვფიქრობდი, თუმც არასოდეს მიფიქრია, სწავლისთვის დამენებებინა თავი. რა იცი, როდის რა გამოგადგება. ადამიანს ყოველთვის უნდა ჰქონდეს სათადარიგო აეროდრომი, სადაც შეძლებს დაშვებას, თუ სხვაგან საქმე არ აეწყო“.

არიენ რობენის ფეხბურთელობას საფრთხე არ დამუქრებია. სწავლის ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში ბიჭი წიგნის კითხვასაც ასწრებდა, ვარჯიშსაც და ჩემპიონატის მატჩებში თამაშსაც. ხშირად ყოფილა, რომ გასვლითი თამაშების მეორე დღეს რობენი გამოცდებს აბარებდა სკოლაში. დიპლომის აღებიდან რამდენიმე თვეში კი პსვ-ში მიიწვიეს.

„ახალ გარემოს საოცრად სწრაფად შევეგუე, მიუხედავად იმისა, რომ პსვ „გრონინგენზე“ ათი თავით მაღლა იდგა“.

გასულ ზამთარს, ჯერ არგაბრწყინებულ რობენს თვალი რომან აბრამოვიჩმა დაადგა. რუსი მილიარდერისთვის შეუძლებელი თითქის არაფერია, ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე ჰოლანდიელი ლონდონის „ჩელსის“ წევრი გახდა.

„გამიმართლა, რომ მატეა კეჟმანიც ჩელსელია. ორი კაცისთვის გაცილებით იოლია უცხოსთან შეგუება. „ჩელსისთან“ ერთად გასულ ზაფხულს ამერიკულ ტურნეში ვიყავი და იქ დავშავდი, ამიტომაც ძირითად შემადგენლობაში თამაში დამიგვიანდა. დარწმუნებული ვარ, ჩვენ პრემიერლიგისა და ჩემპიონთა ლიგის მოგება შეგვიძლია. დამიჯერეთ, ცხოვრებაში შეუძლებელი არაფერია“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ტომი ბერნსს შოტლანდია ათხოვეს



ტომი ბერნსმა ბერტი ფოგტსის ადგილი დაიკავა

შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაციამ ბერტი ფოგტსის დროებითი შემცვლელი მონახა. გერმანელი მწვრთნელის თანაშემწე ტომი ბერნსი სქოთთა ნაკრებს მანამდე გაუძღვება, სანამ ახალ მწვრთნელს არ დანიშნავენ.

„ჩვენ გვყავს რამდენიმე კანდიდატი, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას არ ვჩქარობთ. ამიტომ ჯერჯერობით ტომი ბერნსს ვენდეთ“ — განაცხადა ასოციაციის პრესმდივანმა.

გლაზგოს „სელტიკის“ ყოფილი მწვრთნელი ბერნსი შოტლანდიის ნაკრებს 17 ნოემბერს შვედეთთან ამხანაგურ მატჩში ათამაშებს.

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5241 | ასტონ ვილა-პორტსმუთი | 1.8 | 1.8 |
| 5242 | ჩელსი-ევერტონი | 1.9 | 1.7 |
| 5243 | ლივერპული-ბირმინგემი | 1.9 | 1.7 |
| 5244 | ნორვიჩი-ბლექბერნი | 1.85 | 1.75 |
| 5245 | ტოტენჰემი-ჩარლტონი | 1.7 | 1.9 |
| 5246 | საუთჰემპტონი-ვესტ ბრომვიჩი | 1.7 | 1.9 |
| 5247 | კრისტალ პალასი-არსენალი | 1.9 | 1.7 |
| 5248 | მიდლსბრო-ბოლტონი | 1.8 | 1.8 |
| 5249 | ნიუკასლი-ფულემი | 2.0 | 1.6 |
| 5250 | მანჩესტერი-სიტი | 1.9 | 1.7 |
| 5251 | ბაიერნი-ჰანოვერი | 2.15 | 1.55 |
| 5252 | არმინია-დორტმუნდი | 1.9 | 1.9 |
| 5253 | ბოხუმი-კაიზერსლაუტერნი | 2.0 | 1.6 |
| 5254 | ჰერტა-ვერდერი | 1.95 | 1.65 |
| 5255 | ლევერკუზენი-ფრაიბურგი | 2.15 | 1.55 |
| 5256 | მაინცი-მიონხენგლადბახი | 2.0 | 1.6 |
| 5257 | ნიურნბერგი-ვოლფსბურგი | 2.0 | 1.6 |
| 5258 | შტუტგარტი-ჰანზა | 2.15 | 1.55 |
| 5259 | ჰამბურგი-შალკე | 2.0 | 1.6 |
| 5260 | ატალანტა-სამპდორია | 1.75 | 1.85 |
| 5261 | ბოლონია-მესინა | 1.8 | 1.8 |
| 5262 | ბრეშა-კიევო | 1.7 | 1.9 |
| 5263 | კალიარი-ლივორნო | 1.8 | 1.8 |
| 5264 | ფიორენტინა-ინტერი | 1.65 | 1.95 |
| 5265 | ლაციო-სიენა | 1.8 | 1.8 |
| 5266 | ლეჩე-უდინეზე | 1.95 | 1.65 |
| 5267 | მილანი-რომა | 1.85 | 1.75 |
| 5268 | პალერმო პარმა | 1.8 | 1.8 |
| 5269 | რეჯინა-იუვენტუსი | 1.75 | 1.85 |
| 5270 | ალბასეტე-ბეტისი | 1.7 | 1.9 |
| 5271 | ატლეტიკო-სარაგოსა | 1.7 | 1.9 |
| 5272 | ბარსელონა-დეპორტივო | 1.85 | 1.75 |
| 5273 | ხეტაფე-ვალენსია | 1.75 | 1.85 |
| 5274 | ლევანტე-ბილბაო | 1.7 | 1.9 |
| 5275 | მალაგა-რეალი | 1.8 | 1.8 |
| 5276 | რასინგი-ნუმანსია | 1.7 | 1.9 |
| 5277 | სევილია-მალიორკა | 1.8 | 1.8 |
| 5278 | სოსიედადი-ესპანიოლი | 1.7 | 1.9 |
| 5279 | ვილიარეალი-ოსასუნა | 1.7 | 1.9 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 5341 | ასტონ ვილა-პორტსმუთი | 1.7 | 1.9 |
| 5342 | ჩელსი-ევერტონი | 1.7 | 1.9 |
| 5343 | ლივერპული-ბირმინგემი | 1.7 | 1.9 |
| 5344 | ნორვიჩი-ბლექბერნი | 1.7 | 1.9 |
| 5345 | ტოტენჰემი-ჩარლტონი | 1.7 | 1.9 |
| 5346 | საუთჰემპტონი-ვესტ ბრომვიჩი | 1.7 | 1.9 |
| 5347 | კრისტალ პალასი-არსენალი | 1.7 | 1.9 |
| 5348 | მიდლსბრო-ბოლტონი | 1.7 | 1.9 |
| 5349 | ნიუკასლი-ფულემი | 1.6 | 2.0 |
| 5350 | მანჩესტერი-სიტი | 1.6 | 2.0 |
| 5351 | ბაიერნი-ჰანოვერი | 1.6 | 2.0 |
| 5352 | არმინია-დორტმუნდი | 1.7 | 1.9 |
| 5353 | ბოხუმი-კაიზერსლაუტერნი | 1.65 | 1.95 |
| 5354 | ჰერტა-ვერდერი | 1.65 | 1.95 |
| 5355 | ლევერკუზენი-ფრაიბურგი | 1.65 | 1.95 |
| 5356 | მაინცი-მიონხენგლადბახი | 1.75 | 1.85 |
| 5357 | ნიურნბერგი-ვოლფსბურგი | 1.7 | 1.9 |
| 5358 | შტუტგარტი-ჰანზა | 1.65 | 1.95 |
| 5359 | ჰამბურგი-შალკე | 1.6 | 2.0 |
| 5360 | ატალანტა-სამპდორია | 1.7 | 1.9 |
| 5361 | ბოლონია-მესინა | 1.7 | 1.9 |
| 5362 | ბრეშა-კიევო | 1.65 | 1.95 |
| 5363 | კალიარი-ლივორნო | 1.7 | 1.9 |
| 5364 | ფიორენტინა-ინტერი | 1.65 | 1.95 |
| 5365 | ლაციო-სიენა | 1.7 | 1.9 |
| 5366 | ლეჩე-უდინეზე | 1.6 | 2.0 |
| 5367 | მილანი-რომა | 1.65 | 1.95 |
| 5368 | პალერმო-პარმა | 1.7 | 1.9 |
| 5369 | რეჯინა-იუვენტუსი | 1.75 | 1.85 |
| 5370 | ალბასეტე-ბეტისი | 1.7 | 1.9 |
| 5372 | ბარსელონა-დეპორტივო | 1.65 | 1.95 |
| 5371 | ატლეტიკო-სარაგოსა | 1.65 | 1.95 |
| 5373 | ხეტაფე-ვალენსია | 1.7 | 1.9 |
| 5374 | ლევანტე-ბილბაო | 1.7 | 1.9 |
| 5375 | მალაგა-რეალი | 1.7 | 1.9 |
| 5376 | რასინგი-ნუმანსია | 1.7 | 1.9 |
| 5377 | სევილია-მალიორკა | 1.7 | 1.9 |
| 5378 | სოსიედადი-ესპანიოლი | 1.7 | 1.9 |
| 5379 | ვილიარეალი-ოსასუნა | 1.7 | 1.9 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბარი | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 5541 | ასტონ ვილა-პორტსმუთი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5542 | ჩელსი-ევერტონი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5543 | ლივერპული-ბირმინგემი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5544 | ნორვიჩი-ბლექბერნი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5545 | ტოტენჰემი-ჩარლტონი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5546 | საუთჰემპტონი-ვესტ ბრომვიჩი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5547 | კრისტალ პალასი-არსენალი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5548 | მიდლსბრო-ბოლტონი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5549 | ნიუკასლი-ფულემი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5550 | მანჩესტერი-სიტი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5551 | ბაიერნი-ჰანოვერი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5552 | არმინია-დორტმუნდი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5553 | ბოხუმი-კაიზერსლაუტერნი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5554 | ჰერტა-ვერდერი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5555 | ლევერკუზენი-ფრაიბურგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5556 | მაინცი-მიონხენგლადბახი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5557 | ნიურნბერგი-ვოლფსბურგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5558 | შტუტგარტი-ჰანზა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5559 | ჰამბურგი-შალკე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5560 | ატალანტა-სამპდორია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5561 | ბოლონია-მესინა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5562 | ბრეშა-კიევო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5563 | კალიარი-ლივორნო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5564 | ფიორენტინა-ინტერი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5565 | ლაციო-სიენა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5566 | ლეჩე-უდინეზე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5567 | მილანი-რომა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5568 | პალერმო-პარმა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5569 | რეჯინა-იუვენტუსი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5570 | ალბასეტე-ბეტისი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5572 | ბარსელონა-დეპორტივო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5571 | ატლეტიკო-სარაგოსა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5573 | ხეტაფე-ვალენსია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5574 | ლევანტე-ბილბაო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5575 | მალაგა-რეალი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5576 | რასინგი-ნუმანსია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5577 | სევილია-მალიორკა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5578 | სოსიედადი-ესპანიოლი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5579 | ვილიარეალი-ოსასუნა | 3.0 | 2.8 | 2.0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5441 | ასტონ ვილა-პორტსმუთი | 1.7 | 2.2 |
| 5442 | ჩელსი-ევერტონი | 1.4 | 2.8 |
| 5443 | ლივერპული-ბირმინგემი | 1.4 | 2.8 |
| 5444 | ნორვიჩი-ბლექბერნი | 1.8 | 2.0 |
| 5445 | ტოტენჰემი-ჩარლტონი | 1.75 | 2.1 |
| 5446 | საუთჰემპტონი-ვესტ ბრომვიჩი | 1.75 | 2.1 |
| 5447 | კრისტალ პალასი-არსენალი | 3.0 | 1.3 |
| 5448 | მიდლსბრო-ბოლტონი | 1.75 | 2.1 |
| 5449 | ნიუკასლი-ფულემი | 1.4 | 2.8 |
| 5450 | მანჩესტერი-სიტი | 1.4 | 2.8 |
| 5451 | ბაიერნი-ჰანოვერი | 1.3 | 3.0 |
| 5452 | არმინია-დორტმუნდი | 1.9 | 1.9 |
| 5453 | ბოხუმი-კაიზერსლაუტერნი | 1.7 | 2.2 |
| 5454 | ჰერტა-ვერდერი | 1.9 | 1.9 |
| 5455 | ლევერკუზენი-ფრაიბურგი | 1.4 | 2.8 |
| 5456 | მაინცი-მიონხენგლადბახი | 1.75 | 2.1 |
| 5457 | ნიურნბერგი-ვოლფსბურგი | 1.9 | 1.9 |
| 5458 | შტუტგარტი-ჰანზა | 1.4 | 2.8 |
| 5459 | ჰამბურგი-შალკე | 1.85 | 1.95 |
| 5460 | ატალანტა-სამპდორია | 1.9 | 1.9 |
| 5461 | ბოლონია-მესინა | 1.75 | 2.1 |
| 5462 | ბრეშა-კიევო | 1.85 | 1.95 |
| 5463 | კალიარი-ლივორნო | 1.7 | 2.2 |
| 5464 | ფიორენტინა-ინტერი | 2.1 | 1.75 |
| 5465 | ლაციო-სიენა | 1.55 | 2.5 |
| 5466 | ლეჩე-უდინეზე | 1.8 | 2.0 |
| 5467 | მილანი-რომა | 1.55 | 2.5 |
| 5468 | პალერმო პარმა | 1.7 | 2.2 |
| 5469 | რეჯინა-იუვენტუსი | 2.5 | 1.55 |
| 5470 | ალბასეტე-ბეტისი | 1.85 | 1.95 |
| 5471 | ატლეტიკო-სარაგოსა | 1.8 | 2.0 |
| 5472 | ბარსელონა-დეპორტივო | 1.4 | 2.8 |
| 5473 | ხეტაფე-ვალენსია | 2.2 | 1.7 |
| 5474 | ლევანტე-ბილბაო | 1.8 | 2.0 |
| 5475 | მალაგა-რეალი | 2.2 | 1.7 |
| 5476 | რასინგი-ნუმანსია | 1.7 | 2.2 |
| 5477 | სევილია-მალიორკა | 1.6 | 2.4 |
| 5478 | სოსიედადი-ესპანიოლი | 1.8 | 2.0 |
| 5479 | ვილიარეალი-ოსასუნა | 1.7 | 2.2 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო.

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5141 | ასტონ ვილა-პორტსმუთი | 2.6 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 5142 | ჩელსი-ევერტონი | 2.1 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 4.6 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |
| 5143 | ლივერპული-ბირმინგემი | 2.1 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 4.6 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |
| 5144 | ნორვიჩი-ბლექბერნი | 3.5 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.0 | 20.0 | 10.0 | 4.4 |
| 5145 | ტოტენჰემი-ჩარლტონი | 2.9 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.4 | 20.0 | 10.0 | 5.5 |
| 5146 | საუთჰემპტონი-ვესტ ბრომვიჩი | 3.2 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.8 |
| 5147 | კრისტალ პალასი-არსენალი | 10.0 | 10.0 | 20.0 | 11.0 | 4.8 | 3.5 | 25.0 | 12.0 | 2.0 |
| 5148 | მიდლსბრო-ბოლტონი | 2.9 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.0 | 20.0 | 10.0 | 4.4 |
| 5149 | ნიუკასლი-ფულემი | 2.3 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 5150 | მანჩესტერი-სიტი | 1.8 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 5.2 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |
| 5151 | ბაიერნი-ჰანოვერი | 1.8 | 15.0 | 30.0 | 3.5 | 5.3 | 12.0 | 20.0 | 12.0 | 12.0 |
| 5152 | არმინია-დორტმუნდი | 3.8 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.6 | 20.0 | 10.0 | 3.9 |
| 5153 | ბოხუმი-კაიზერსლაუტერნი | 2.8 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.6 |
| 5154 | ჰერტა-ვერდერი | 3.9 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.6 | 20.0 | 10.0 | 3.8 |
| 5155 | ლევერკუზენი-ფრაიბურგი | 2.1 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 4.6 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |
| 5156 | მაინცი-მიონხენგლადბახი | 2.8 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.6 |
| 5157 | ნიურნბერგი-ვოლფსბურგი | 3.9 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.6 | 20.0 | 10.0 | 3.8 |
| 5158 | შტუტგარტი-ჰანზა | 2.1 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 4.6 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |
| 5159 | ჰამბურგი-შალკე | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.5 | 4.4 | 4.5 | 20.0 | 10.0 | 3.7 |
| 5160 | ატალანტა-სამპდორია | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.8 | 20.0 | 10.0 | 4.2 |
| 5161 | ბოლონია-მესინა | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 5162 | ბრეშა-კიევო | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.8 | 20.0 | 10.0 | 4.2 |
| 5163 | კალიარი-ლივორნო | 2.9 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.4 | 20.0 | 10.0 | 5.5 |
| 5164 | ფიორენტინა-ინტერი | 4.8 | 10.0 | 20.0 | 5.3 | 4.4 | 4.2 | 20.0 | 10.0 | 3.2 |
| 5165 | ლაციო-სიენა | 2.5 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 7.0 |
| 5166 | ლეჩე-უდინეზე | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.2 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 7.0 |
| 5167 | მილანი-რომა | 2.5 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 7.0 |
| 5168 | პალერმო-პარმა | 2.9 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.4 | 20.0 | 10.0 | 5.5 |
| 5169 | რეჯინა-იუვენტუსი | 7.0 | 10.0 | 20.0 | 7.5 | 4.6 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 2.5 |
| 5170 | ალბასეტე-ბეტისი | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.8 | 20.0 | 10.0 | 4.2 |
| 5171 | ატლეტიკი-სარაგოსა | 2.9 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.4 | 20.0 | 10.0 | 5.5 |
| 5172 | ბარსელონა-დეპორტივო | 2.3 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 5173 | ხეტაფე-ვალენსია | 4.2 | 10.0 | 20.0 | 4.8 | 4.4 | 4.6 | 20.0 | 10.0 | 3.0 |
| 5174 | ლევანტე-ბილბაო | 3.5 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.0 | 20.0 | 10.0 | 4.4 |
| 5175 | მალაგა-რეალი | 8.0 | 10.0 | 20.0 | 9.0 | 4.6 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 2.3 |
| 5176 | რასინგი-ნუმანსია | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 5177 | სევილია-მალიორკა | 2.3 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 5178 | სოსიედადი-ესპანიოლი | 3.5 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.0 | 20.0 | 10.0 | 4.4 |
| 5179 | ვილიარეალი-ოსასუნა | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როდიკი ყველაზე გამჭოლია


REUTERS

სომეხი სარგის სარგსიანის გასაიმასქნებლად ტურნირის მთავარგანთესილ ენდი როდიკს სულ რაღაც 52 წუთი დასჭირდა. 22 წლის ამერიკელმა მეტოქის წილ კორტს 7 გამჭოლი მოწოდება გადაუჭირა და ეისთა საამსეზონო მონაგარი 959-მდე გაზარდა, ეს კი, უკეთუ დავთრებს ჩავეძიებით, ამქრის რეკორდი უნდა იყოს.

სამ სეტამდე გაუგრძელდა და ივან ლიუბიჩიჩის ძლევას ორ საათზე 25 წუთით მეტი მოანდომა ტურნირის ორგზის ჩემპიონმა მარატ საფინმა. აქ აღსანიშნია, რომ ლიუბიჩიჩმა საფინის 13 ეისის წილ 17 მოაქუჩა და საერთოდაც კაცურად ეჭიდავა, მაგრამ მისი სიმძლავრისა და მეტი მრავალფეროვნების წინაალმდეგ ჯამში ვერაფერი გააწყო.

21 მარცხის საპირწონედ სეზონის 38-ე გამარჯვება მიითვალა არგენტინელმა გილერმო კანიასმა, ვინაც იოლად აჯობა 19 წლის ფრანგ კვალიფიკანტ ჟო-ვილფრიდ ცონგას. ადგილობრივ ქომაგს ერთადერთ იმედად დაურჩათ ტურნირზე საგანგებო საშვით წვეული სირილ სოლნიე — მან მოულოდნელად მე-12 ნომრად განთესილი დომინიკ ჰრბატიააყირავა.

განთესილთაგან იმ დღეს კიდევ რამდენიმე მეჩოგნე იოტა და ამათგან ყველაზე ზორბა იყო გასტონ გაუდიო, წლევანდელი როლანგაროსობის ჩემპიონი, რომელსაც პარიზულ სეფეთიხნარზე სენსაციური გამარჯვების მერე აღარც არაფერი მოუნაგრავს და რამის მიმღწევი არც წლის დამაგვირგვინებელ რვაკაცა ჰიუსტონურ მასტერსთასზე ჩანს, სადაც ის — ბარემ ამასაც შევახსენებთ — როჯერ ფედერერთან, ენდი როდიკთან, ლეიტონ ჰიუიტთან, კარლოს მოიასთან, გილერმო კორიასთან, მარატ საფინსა და ტიმ ჰენმანთან ერთად ითამაშებს.

**ლევან ძელაურაძე**

**BNP PARIBAS MASTERS**

პარიზი. ჭერქვეშა ხალიჩა. საპრიზო 2,425 მილიონი $

**მეორე წრე**

**ენდი როდიკი** (1, აშშ) — სარგის სარგსიანი (სომხეთი) 6:2, 6:2; **მარატ საფინი** (6, რუსეთი) — ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) 6:7 (1:7), 6:3, 7:5; **ფელისიანო ლოპესი** (ესპანეთი) — გასტონ გაუდიო (7, არგენტინა) 7:5, 3:6, 6:1; **იურგენ მელცერი** (ავსტრია) — ტომი რობრედო (10, ესპანეთი) 6:3, 3:6, 6:1; **სირილ სოლნიე** (საფრანგეთი) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 7:6 (7:4), 6:2; **გილერმო კანიასი** (13, არგენტინა) — ჟო ცონგა (საფრანგეთი) 6:1, 6:3; **ნიკოლას მასუ** (14, ჩილე) — კრისტიან როხუსი (ბელგია) 6:2, 7:6 (7:4); **მაქს მირნი** (ბელარუსი) — ფერნანდო გონსალესი (15, ჩილე) 7:6 (10:8), 6:3; **მიხაილ იუჟნი** (რუსეთი) — ირჟი ნოვაკი (16, ჩეხეთი) 6:3, 7:5

# სერენამ ძუძუებიც გადმოყარა



სერენა უილიამსს ხშირად ბაყბაყ დევადაც მოვიხსენიებთ ხოლმე, რაკილა უმსხვილესი ბარძაყების პატრონს კორტზე უმოკლესი შორტები აცვია და მეტოქეებს თავისი მოტიტვლებული ბარაქით რომ ზაფრავს, მაზოხისტ მაყურებელს გაუკუღმართებულ ოცნებებს აღუძრავს. ამ ჯერზე კი მამა რიჩის უმცროსმა გოგომ აილო და მილეთის დასანახად თავისი არანაკლებ გრანდიოზული ძუძუმკერდიც მოიდღლიზა. ეს ამბავი ლონდონში მოხდა, სადაც რომ 23 წლის ქალმეჩოგნე პირს ბროსნანის ახალი ფილმის პრემიერას დაესწრო. ლეგენდარულ ჯეიმს ბონდს, აბა, ქალების მეტი რა გაუსინჯავს, მაგრამ სერენას ნოყიერებით მაინც გაოცებული დარჩენილა. სხვაფრივ — სერენას მძლავრ კისერზე შემოხვეული და მის ძუძუებს შორის ჩაკიდული ბრილიანტის ყელსაბამი თურმე ორი მილიონი დოლარი ღირს, ხოლო კაბა, რომლის ფასსაც არ იუწყებიან, მაგრამ რომელიც ასე შეუფასებლად წარმოაჩენს მის ვეება კერტებს, პოლ მაკარტნის ქალიშვილის სტელას შეკერილი ყოფილა.




# შენც, კორა?!

## ფრაუ შუმახერმაც გაიხადა

**ჰამბურგის** „ოტელ ატლანტიკში“ ამ დღეებში ტრადიციული საქველმოქმედო საღამო გაიმართა, რომელზეც ძირითადი დრო ცნობილი დიზაინერების ახალი ნამუშევრების ჩვენებას დაეთმო. ჰუგო ბოსისა და სხვათა საფირმო სამოსი ტრადიციულადვე მიმზიდველმა ლამაზმანებმა გამოამზიურეს. სპორტული ინტერესი კი ამ სანახაობას ფორმულა 1-ის გერმანელ პილოტ რალფ შუმახერის მეუღლის კორას მოდელთა შორის გამოჩენამ შესძინა.

ვინც არ იცით, გეტყვით, რომ უმცროსი შუმახერის თანამეცხედრისთვის მოდელის პროფესია უცხო ხილი არაა. ეს საქმე ადრეც უკეთებია და გაცილებით გაბედულადაც, ვიდრე ჰამბურგში. პროფესიულ წლებში კორამ რამდენჯერმე მიჰყიდა ჟურნალებს თავისი პიკანტური ფოტოები. ბოლოს ეს ფრაუ შუმახერად კურთხევამდე რამდენიმე დღით ადრე გააკეთა, თუმც ქორწილამდე რალფმა ყველა ეროტიკული ფოტო გამოისყიდა, მასმედიას მისი მეუღლე ნაკლებად რომ შეეწუხებინა. უმცროსმა შუმიმ ისიც თქვა, კორა ფეხმძიმედაა და თუ გინდათ, მოდელობიდან წასვლის მიზეზად ეს ჩათვალეთო.

ბავშვის დაბადების შემდეგ ექსმოდელს პროფესიული ნოსტალგია მალევე მოეძალა და ცნობილ ჟურნალ „GQ“-სთვის პოზიორობასაც დიდი ხვეწნის გარეშე დათანხმდა. ფრაუ შუმახერის ნაბიჯი უკვე ქმარმაც მოიწონა, ჩემი ცოლს ხელს არანაირად არ შევუშლიო.

„GQ“-ის მერე აგერ, „ატლანტიკი“ იყო. ახალი ფოტოების შეფასებისას მეუღლეები სიტყვა პიკანტურის მაგივრად ესთეტიურის ჯმარებას არჩევენ, მაგრამ ყველა ასე როდი ფიქრობს. „GQ“-ის გარეკანის ფოტოც შეავლეთ თვალი და დასკვნაც თავად გააკეთეთ.

**ოთარ მაღლაკელიძე**



ჰერ და ფრაუ შუმახერები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

— 3 ნოემბერი —

**კლივლენდი 104:109 ინდიანა**
ძირითადი დრო 85:85
კლივლენდი: ილგაუსკასი (35 ქულა, 18 მოხსნა), ჯეიმსი (28)
ინდიანა: არტესტი (31), კროშერი (20), ტინსლი (15)

**ტორონტო 95:88 ჰიუსტონი**
ტორონტო: ბოში (20), როუზი (17), კარტერი (16)
ჰიუსტონი: მაკგრეიდი (21), მინგი (17)

**გოლდენ სტეიტი 75:78 პორტლენდი**
გოლდენ სტეიტი: დამლივი (17), მერფი (15)
პორტლენდი: ვან ექსელი (20), აბდურ-რაჰიმი (18)
*სტეფანია განაცხადში არ იყო*

**ნიუ ჯერსი 77:100 მაიამი**
ნიუ ჯერსი: ჯეფერსონი (19)... მურნინგი (7)
მაიამი: ვეიდი (21), ონილი (16)

**ნიუ ორლეანი 91:106 დალასი**
ნიუ ორლეანი: დევისი (25)
დალასი: სტეკჰაუზი (19), ფინლი (19), ნოვიცკი (19)

**სან ანტონიო 101:85 საკრამენტო**
სან ანტონიო: დანკანი (30 ქულა, 14 მოხსნა), ჯინობილი (24), ბერი (16)
საკრამენტო: ბიბი (23), ვებერი (18), სტოიაკოვიჩი (15)

**იუტა 104:78 ლეიკერსი**
იუტა: ბუზერი (27 ქულა, 11 მოხსნა), ჰარპრინგი (23), კირილენკო (16 ქულა, 8 დაფარება)
ლეიკერსი: ბრაიანტი (38), ოდომი (14)

**ბოსტონი 95:98 ფილადელფია**
ბოსტონი: პირსი (35), დევისი (14)
ფილადელფია: აივერსონი (30), ჯექსონი (15)

**მემფისი 91:103 ვაშინგტონი**
მემფისი: ველსი (13), გასოლი (17)
ვაშინგტონი: ჯემისონი (34), დიქსონი (28), ჰეიესი (20)

**მინესოტა 99:93 ნიუ იორკი**
მინესოტა: გარნეტი (28 ქულა, 20 მოხსნა, 7 პასი), კასელი (19 ქულა, 11 პასი)
ნიუ იორკი: მარბერი (27), კროუფორდი (22)

**ფინიქსი 112:82 ატლანტა**
ფინიქსი: სტუდემაიერი (23), ჯონსონი (17)
ატლანტა: უოლკერი (21 ქულა, 13 მოხსნა)

**კლიპერსი 114:84 სიეტლი**
კლიპერსი: საიმონსი (30), ბრენდი (21), მეჯიტი (18)
სიეტლი: ლუისი (24), ალენი (20), რადმანოვიჩი (20)

# უცხოელი და მსროლელები საკალათბურთო იაპონი

ერთი ბეწო საქართველოს როცა ნბა-ში სამი წარმომადგენელი ჰყავს, იაპონელის ნბაელობა როგორ გაგიკვირდება? მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება — 130-მილიონიან ქვეყანას აქამდე არასდროს ჰყოლია „თავისი კაცი“ კალათბურთის იმპერიაში.

ჰოდა, ახლა გამოჩნდა ერთი ასეთი. მასზე ნამდვილად ვერ იტყვი, მომავლის კაციაო, მაგრამ ესეც ხომ ფაქტია და დაფიქრება ეგების — 3 ნოემბერს „ფინიქს სანზში“ „ატლანტა ჰოქსის“ წინააღმდეგ პირველმა იაპონელმა ითამაშა. სულ რაღაც 176-სანტიმეტრიანმა იუტა



REUTERS

გაიცანით: იუტა ტაბუსე, პირველი იაპონელი ნბა-ში

ტაბუსემ 10 წუთში ერთი სამქულიანი და ოთხი საჯარიმო ჩაუგდო ატლანტელ „ქორებს“ და ნბა-ს ისტორიაშიც ასე ჩაეწერა.

შარშან ტაბურე „დენვერში“ ვარჯიშობდა, მაგრამ „ნაგიტსის“ პრეზიდენტმა კიკი ვანდევეიმ გუნდში არ დაიტოვა. როგორც ხედავთ, ჯუჯა (საკალათბურთო მეტრაჟით) იაპონელი მაინც არ დაიკარგა. მისგან ალბათ არ დადგება დიდი ვარსკვლავი, თუმც იაპონიისთვის, სადაც ნამდვილი კალათბურთელები ძიუდოისტებივით ნებისმიერ მივარდნილ სოფელში არ იზრდებიან, ჯერჯერობით ესეც საქმეა.

ახლა კი ნამდვილ ვარსკვლავებზე და მომავლის მოთამაშეებზე: ლებრონ ჯეიმსს იმხელა რეკლამა ახლავს, ალბათ ბევრს გაალიზიანებს ეკრანზე და საგაზეთო ფურცლებზე მისი ასე ხშირი გამოჩენა, მაგრამ ლებრონმა მხოლოდ ერთი წელიწადი მოანდომა იმის დამტკიცებას, რომ ამ რეკლამის ფასად ნამდვილად ღირს. წინა სეზონის საუკეთესო ახალბედამ თავისი მეორე პროფესიული სეზონის პირველივე მატჩში 28 ქულა უმარჯვა ბობოლა „ინდიანას“ და „კლივლენდს“ თითქმის მოაგებინა სეზონის სადებიუტო შეხვედრა. ორმაგ ოვერტაიმიან თრილერში ჯეიმსს 35 ქულა მიაშველა წოწოლა ლიტველმა ჟიდრუნას ილგაუსკასმა და ინდიანელებს გვარიანად დასცხათ მეზობელი შტატის, ოჰაიოს უდიდეს ქალაქში, თუმც გამარჯვება მაინც მათ დარჩათ.

„ინდიანას“ სამი დამწყები — რეჯი მილერი, ჯეფ ფოსტერი და რაც მთავარია, ჯერმენ ონილი აკლდათ და თამაშამდე კიდევ ერთი ლიდერის, წინა სეზონის საუკეთესო დამცველის რონ არტესტის დაკარგვის საფრთხეც ემუქრებოდათ. არტესტს მტკივანი მუხლის დასვენება გადაეწყვიტა — უკვე ნამატჩევს გაამხილა, დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე სხვა ჭკუაზე ვიყავი, რა თამაში, რის თამაშიო, მაგრამ თავისიანები არ დაალალატა და ფიცარნაგზე ჩვეული შემართებით და აგრესიით გავიდა. მატჩმა 58 წუთს გასტანა — აკი ვთქვით, ორი ოვერტაიმი იყო — არტესტმა კი 50 წუთი ითამაშა და „პეისერზის“ გამარჯვებაში 31-ქულიანი წვლილი შეიტანა.

აშკარად ჯანზეა „ფილადელფიას“ ჭინკა წინამძღოლი ალენ აივერსონი. ჭინკამ 30 ქულა გაახერხა და „სიქსერზს“ ძველი მეტოქე „სელტიქსი“ ბოსტონშივე დაამარცხებინა. პირველი გამარჯვება ჩაიწერა „ფილადელფიას“ ახალმა მწვრთნელმა ჯიმ ობრაიენმაც, ვინაც წინა სეზონში სწორედ „ბოსტონმა“ დაითხოვა.

მძიმე ბრძოლა გადახდა კევინ გარნეტის „მინესოტას“. მინეაპოლისში „ნიუ იორკ ნიქსმა“, იცოცხლეთ, გააწვალა „ვულვზი“, თუმც როცა გარნეტი 28 ქულას, 20 მოხსნას, 7 პასსა და 3 დაფარებას გამოდის, იმ თამაშის წაგება უფრო ძნელია, ვიდრე მოგება.

ასევე სოლიდური დებიუტი ჰქონდა სანანტონიოელ ტიმ დანკანს — 30 ქულა და 14 მოხსნა. „საკრამენტო კინგზი“ კი — სეზონი ხეირიანად ჯერ არ დაწყებულა და — აგერ მეორედ მარცხდება უიმედოდ.

**კოტე ყორშია**

...ბურთი ფარქვეშ მიიღო, თავისი უზარმაზარი უპირატესობა — 150-კილოგრამიანი სხეული გამოიყენა და ზორბა ალონზო მურნინგი მეცხრეკლასელი ბავშვივით მოიშორა. მის წინ აღარავინ იყო, აიწია და კიდევ ერთხელჩატენა...
...შემდეგ შეტევაში ბურთი რომ მისცეს, კვლავ მურნინგის წინაშე აღმოჩნდა და კვლავ აჯობა ძველ მეტოქეს, ოღონ ამ ჯერზე სამიოდ მეტრიდან ჩააგდო...
მისთვის ყველაფერი იოლი ჩანს, 21 წუთში 16 ქულის გაკეთებაც არაა პრობლემა. ხოლო რაც შეეხება 21 წუთს, როცა ნამატჩევს ჰკითხეს, ასე ცოტა ხნით რატომ ითამაშე, 100 პროცენტით მზად არ ხარ და ამიტომო? ამაზე მიუგო, 100 პროცენტით მზად 10 წელი არ ვყოფილვარო. თავი მოიქაჩლა, თორემ ტაიმზე მეტხანს სკამზე ჯდომის უფრო რეალურ მიზეზად მეტოქე გუნდის ადრეულადვე დაბეჩავება უნდა მივიჩნიოთ. „მაიამიმ“ მისსავე მოედანზე 100:77 დაამარცხა „ნიუ ჯერსი“.
ასეთი იყო 32 წლის შაკილ ონილის პირველი მატჩი ახალ გუნდში. არადა, დევშაკის ყოფილი გუნდი „ლოს ანჯელეს ლეიკერსი“ სოლტ ლეიკ სიტიში „იუტა ჯაზთან“ 26 ქულით განადგურდა




REUTERS



ზაზა ფაჩულია



დან გაძურიჩი

| ზაზა ფაჩულია | | დან გაძურიჩი |
|---|---|---|
| 26 | წუთი | 22 |
| 11 | ქულა | 11 |
| 6 | მოხსნა | 6 |
| 2 | პასი | 0 |
| 0 | ჩაჭრა | 0 |
| 1 | დაფარება | 2 |
| 0 | დაკარგვა | 1 |
| 4 | ჯარიმა | 3 |

**ორლანდო 93:92 მილუოკი**
ორლანდო: ფრენსისი (21), მობლი (12), ჰილი (20), ჰოვარდი (12 ქულა, 10 მოხსნა), კატო (6); გარიტი (7), ბათი (6), თურქოღლუ (4), ოგმონი, ნელსონი
მილუოკი: უილიამსი (10), რედი (19), ვან ჰორნი (14 ქულა, 10 მოხსნა), სმიტი (7), გაძურიჩი (11); ფაჩულია (11), მეისონი (8), სტრიკლენტი (7), კუკოჩი (5)

## მილუოკური ისტერიები
# ზაზა დანის დონეა

**მილუოკური** პრესა ბოლო დღეებში ლამის ისტერიამ მოიცვა, სეზონი კარს მოგვდომია და ვინ იქნება „ბაქსის“ ძირითადი ცენტრი, ჯერაც არ ვიცითო. სეზონი დაიწყო, „მილუოკიმ“ პირველი მატჩიც ითამაშა, მაგრამ საკითხი კვლავ ღიად რჩება, რაკი „ხარირემთა“ ორმა გამორჩეულმა ცენტრმა — ჩვენებურმა ზაზა ფაჩულიამ და მულატმა თუ მეტისმა დან გაძურიჩმა ლამის ერთნაირი სტატისტიკა აჩვენა.

და მაინც, მცირე უპირატესობა ქართველისა იყო, მაგრამ არც ისეთი, „მილუოკის“ თავკაცმა ტერი პორტერმა ხუთეულში ადგილი დაუჯავშნოს. ისე, რომ გადავეკიდეთ ამ ხუთეულს, რა ბედენაა მაინცდამაინც პირველივე წუთიდან მოედანზე გასვლა; თუ საბოლოოდ მაინც დიდხანს ითამაშებ? ფაჩულიამ გუშინწინ „ორლანდოსთან“ სადებიუტო მატჩი კონკურენტ გაძურიჩზე ოთხი წუთით მეტი ითამაშა და მერე რა, რომ ხუთეულში არ დაუწყია?! ზაზამ იმდენი ჩააგდო და მოხსნა, რამდენიც გაძურიჩმა, ხოლო დანარჩენ სტატისტიკურ მაჩვენებლებში არც არაფერში ჩამორჩა კონკურენტს.

თუ პორტერი პირველი წუთებიდან დაეყრდნო გაძურიჩს, ფაჩულიას უფრო დიდი ნდობა გამოუცხადა, როცა ჩვენებურს თამაშის ბოლო მეოთხედი მთლიანად მოედანზე გაატარებინა. არადა, ისეთი დაძაბული თამაში იყო და ედშპილიც ისეთი გამოვიდა, ხშირად რომ ვერ ნახავ.

თამაში ქულით მოიგო მასპინძელმა „ორლანდომ“ და ამის დადგენას ვიდეოფირის რამდენჯერმე დატრიალება დასჭირდა. მაკგრეიდის ნაცვლად „ორლანდოში“ „ჰიუსტონიდან“ მისულმა სტივ ფრენსისმა სირენის თანხლებით ჩააგდო გამარჯვების ბურთი, რომელიც მხოლოდ მას შემდეგ ჩაითვალა, რაც მსაჯებმა ბარე ორმოცჯერ დაატრიალეს ვიდეოჩანაწერი.

ფრენსისი, ცხადია, მატჩის გმირი გახდა, თუმც მანამდე სულ ცოტა „დააკლდა“ ანტიგმირობამდე. ბოლო მეოთხედში, როცა „ორლანდოს“ საქმე ჭაკად ჰქონდა, ფრენსისი რას აღარ აკთებდა, ნემსის ყუნწში ძვრებოდა, თუმც ერთ ეპიზოდში ზაზა ფაჩულიას ვერ დაუძვრა და ყოველმხრივ შებოჭილმა ქართველ ცენტრს იდაყვი აჯახა. ფრენსისს ტექნიკური გამოუწერეს და რომ არ დაშოშმინებულიყო, მოედნიდანაც მიაბძანებდნენ, თუმც „ორლანდოს“ ლიდერმა ნერვები მოთოკა და ბოლო წამზე ჩაგდებული ჯადობურთით „ჯადოებს“ გაამარჯვებინა.

**ირაკლი პერტაია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# დინამოს კილაძე და კილოები შეემატა



**წამყვანი** მოთამაშეებისა და უცხოელი მწვრთნელისგან განძარცვულ „დინამოში“ იმედის მბჟუტავმა სხივმა შეანათა. ამ დღეებში გადაწყდა, რომ ირანში წასასვლელად გამზადებული ვალერი კილაძე ზურაბ ტომარაძის გუნდში ითამაშებს.

კილაძე წინა სეზონშიც დინამოელი იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც ამ დალხენილ გუნდს დაფინანსება შეუმცირეს, სხვა წამყვანი მოთამაშეებს მსგავსად მანაც დატოვა იმხანად ბრაიკოვიჩისეული გუნდი. როგორც თითქმის ყველა ყოფილმა დინამოელმა, კილაძემაც ირანში განიზრახა წასვლა და ახლა უკვე იქ იქნებოდა, აქილევსის მყესს რომ არ შეეწუხებინა.

„ირანში იმიტომ ვერ წავედი, რომ ქუსლი ამტკივდა და თუ ვარჯიშს ვერ შევძლებდი, საზღვარგარეთ რა მინდოდა — ამბობს კილაძე — ველოდე, ველოდე და ტრავმა რომ აღარ მომირჩა, ისევ „დინამოში“ ჩავირიცხე.“

„დინამოს“, როგორც ვთქვით, დაფინანსება შეუმცირეს, მაგრამ მთლად ისეც არა, თითო-ოროლა ძვირადღირებული ქართველი კალათბურთელი რომ ვერ შეინახოს. ჰოდა, ვიცეჩემპიონები შიო ხეცურიანის გადაბირებას ცდილობდნენ, თუმც ვერ დაიყოლიეს. სამაგიეროდ, აგერ, კილაძის შემატება შეძლეს და ახლა მეტოქეთა ფარს უფრო თამამად შეუტევენ.

„თითქმის ყველა ქართული გუნდი ერთანირ პირობებს მთავაზობდა და მე „დინამო“ ვარჩიე. მყესი ჯერაც მაწუხებს და დაახლოებით სამი კვირა ვარჯიშს ვერ შევძლებ. ფორმის აღსადგენად გარკვეული პერიოდი დამჭირდება და მერე მთელს ჩემს გამოცდილებას „დინამოს“ შევალევ.“

ასე და ამგვარად, „დინამომ“ ძველი შემადგენლობიდან სამი კალათბურთელი შეინარჩუნა — ლაშა გამყრელიძე, ლაშა ლოსაბერიძე და ახლა უკვე ვალერი კილაძეც.

**ირაკლი პერტაია**

ოლიმპიზმი



# შეაყარე რუსეთს ცერცვი
## კორჟანენკო არ ჩამოვა

**ათენის** ოლიმპიურ თამაშებზე ანტისადოპინგო კომისიის ბადეს არაერთი სპორტსმენი ამოჰყვა და ყველას სათანადო სასჯელიც გამოუწერეს, რაც მოპოვებული მედლების დაბრუნებითა და დისკვალიფიკაციებით აისახა.

როგორც თავის დროზე ვიუწყებოდით, ამ ბადეში გაეხვია ათენის ოლიმპიადაში გამარჯვებული, ბირთვის მკვრელი ირინა კორჟანენკო, მაგრამ ეს ჯანიანი რუსის ქალი დღემდე გაჯიქებულია და ამბობს, ცამდე მართალი ვარ, ამიტომ ცოცხალი თავით ოქროს არ დავთმობო. ეტყობა, ირინას ჯიუტობა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში მობეზრდათ და როკ-ში ანუ რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის (ეროვნული, აბა, სადა აქვთ?) იურიდიულ განყოფილებაში მუქარის წერილი აფრინეს.

როგორც როკ-ის ანტისადოპინგო ინსპექციის მეთაური ნიკოლაი დურმანოვი ამბობს, მსოფლიოს უმაღლესი ოლიმპიური ინსტანციიდან მიღებულ წერილში ნათქვამია, რომ თუ ჩვენს მიერ ტიტულაყრილი თქვენი კორჟანენკო მედალს არ დააბრუნებს, უფლებას ვიტოვებთ რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის მიმართ სანქციები გამოვიტანოთო.

შეაყრე კედელს ცერცვიო — არც ირინა აპირებს მედლის დაბრუნებას და არც რუსეთის ოლიმპიურ კომიტეტში იტეხენ იხტიბარს. ამბობენ, ვითარების დრამატიზირება არ ღირსო. თავსაც იმშვიდებენ და ამბობენ, საეჭვოა, ერთი რომელიმე სპორტსმენის არაადეკვატურმა საქციელმა მთელი ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტის მიმართ რაიმე სერიოზული სანქციები გამოიწვიოსო.

ამასობაში დოპინგის წინააღმდეგ მებრძოლები სამომავლოდ მარწუხებს სულ უფრო მაგრად უჭერენ. ამბობენ, პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე 4500 დოპინგ-ტესტს ჩაატარებთ, რაც ათენთან შედარებით ათასით მეტი იქნებაო.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

ჰოკეი

# გუდენაუს გუნდი ეშლება
## ნჰლ დეზერტირების იმედადაა



ბობ გუდენაუ

**გასულ კვირას** ნჰლ-მა ლოკაუტის ორმოცი გადაიხადა. მკითხველს შეიძლება არ მოეწონოს ჩვენი ასეთი სამგლოვიარო ტონი, მოვლენები სწორედ რომ სამგლოვიაროდ ვითარდება და ჩვენც ამის თქმაღა დაგვრჩენია. თავად განსაჯეთ, ამდენი ხნის განმავლობაში ლიგის და მოთამაშეთა ასოციაციის ლიდერები ერთხელაც არ შეხვედრილან, არც ერთ მხარეს არც ერთი ახალი წინადადება არ შემოუტანია და საერთოდაც ჯერ ლაპარაკიც კი არაა რაიმე სავარაუდო მოლაპარაკებებზე.

მართალია, დაპირისპირებულ მხარეთა მეორე პირებმა, შესაბამისად ბილ დეილიმ (ნჰლ) და ტედ სასკინმა (ნჰლპა) ერთხელ გაისაუბრეს, მაგრამ წინასწარი შეთანხმებით, ლოკაუტის თემა არ იყო განხილული და ლაპარაკი მხოლოდ მსოფლიოს თასს შეეხო.

ამიტომაც, როგორც მოსალოდნელი იყო, ლიგის კომისიონერმა გერი ბეტმენმა შემოდგომის ყველა მატჩი გააუქმა და ზოგიერთ კლუბებში პერსონალის სამუშაო ადგილიდან განთავისუფლებაც კი დაიწყო. პირველად კი „ბუფალოს“ მისდგა, რომელმაც ბეტმენის გადამკიდემ 25 თანამშრომელი დაითხოვა.

მოკლედ, დღეს ასეთი მდორე სიტუაცია გვაქვს და, რაც მთავარია, პრაქტიკულად წინსვლის არანაირი გზა არ ჩანს. არადა, რამდენიმე დღის წინ ეს გზა თითქოს გამოჩნდა — ერთბაშად რამდენიმე ნჰლ-ელმა საკმაოდ მკაცრად გააკრიტიკა პროფკავშირების ლიდერი ბობ გუდენაუ, რომელიც, მათი აზრით, ამუხრუჭებს მოლაპარაკებას თავისი ზედმეტი პრინციპულობით. ყველაზე მკაფიოდ პოზიცია ცნობილმა „პოლიციელმა“, ბუფალოელმა რობ რეიმ გამოხატა, თქვა, რომ თუ ლიგა დაპირებს გაფიცულთა მაგივრად სხვა მოთამაშეების გამოყენებას, რათა სეზონი დაიწყოს, ის არ გამოიდებს უადგილო თავპატიჟს, პროფკავშირებს ქვას მიაგორებს და ყინულზე ულაპარაკოდ გამოვა.

„კიდევ მინიმუმ ათ ნჰლ-ელს ვიცნობ, რომელიც იმავე აზრისაა და მზადაა, ყინულზე გამოვიდეს. აბა, როდემდე ვიჯდეთ უსაქმოდ. ათი წლის წინ მეც ძალზედ აქტიურად ვუჭერდი მხარს პროფკავშირს, მაგრამ რად გინდა, ჩემი ხელფასი 300 ათასიდან მხოლოდ 350 ათასამდე გაიზარდა. მულტიმილიონერებისაგან განსხვავებით მე დანაზოგები არა მაქვს, არ შემიძლია, ვიდგე და ველოდო, როდის მოილაპარაკებენ ისინი“ — აი, ასეთი გახლდათ რეის კომენტარი.

ნჰლპა ასევე გააკრიტიკეს მონრეალელებმა მაიკ ბირეირომ და პიერ დაჟენემ, კალგარელმა ენდრიუ ფერენსმა და არაერთმა სხვა მოთამაშემ, რის შემდეგაც ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ ცოტაც და ნჰლპა კომპრომისზე წავა. მაგრამ 2 ნოემბერს შედმგარმა პროფკავშირის კრებამ ნათლად აჩვენა, რომ ასოციაცია და თავად გუდენაუ სულაც არ აპირებს უკან დახევას.

კვლავ ძველმა მოტივმა გაიჟღერა, რომ, არიქა, ბოლო წინადადება ჩვენი იყო და ახლა ლიგის ჯერიაო. „იმედია, სეზონი ბოლომდე არ გაუქმდება, მაგრამ ასევე იმის დიდი შანსი არსებობს, რომ ყველაფერი პირიქით მოხდეს“ — გუდანაუს სიტყვები, ცოტა არ იყოს, დაცინვას ჰგავს.

კრება დახურულ კარს მიღმა ჩატარდა და მასზე დაპატიჟებულ „დეზერტირებს“ მკაცრად მიუთითეს იმაზე, რომ მათი ქმედება ღალატის ტოლფასია.

ასე და ამრიგად, გუდენაუს გუნდმა კვლავ მკაცრი პოზიცია დაიკავა, ეს კი იმას მიგვიანშნებს, რომ ჯერჯერობით რაიმე კომპრომისზე საუბარი ნაადრევია.

**სამველ ლარიბიანი**

# არის თუ არა ეს ბილეთი?!

**გუშინ** დაიწყო ტურინის 2006 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ბილეთების გაყიდვა, სამიოდე დღით ადრე კი მილანში მოეწყო მათი პრეზენტაცია. მანამდე ყველა ინფორმაცია, რომელიც ბილეთების გარეგნულ სახეს შეეხებოდა, მოსალოდნელი გაყალბების თავიდან ასაცილებლად გასაიდუმლებული იყო. საიდუმლოდ ინახავდნენ ბილეთების ტიპებსაც და მათ ფასებსაც კი.

როგორც „ტურინი 2006“-ის საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, 15 დეკემბრამდე ოლიმპიადის ბილეთების პირველი პარტია — 1 200 000 ცალი — გაიყიდება, მეორე ეტაპი კი გაისად, 10 თებერვალს დაიწყება.

საორგანიზაციო კომიტეტის მონაცემებით ამ ბილეთების ფასი 20-დან 50 ევრომდეა, ხოლო ერთ რომელიმე სახეობაში ყოველდღიური აბონემენტის ფასი 250-300 ევროა. ბილეთების გაყიდვაზე პასუხისმგებელი ჯორჯო ლაურეტი ვარაუდობს, რომ ყველაზე პოპულარული სახეობების ბილეთები პირველსავე ეტაპზე გასაღდება.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უეფას თასი

ჯგუფური ეტაპი. II ტური. ფუხელ


REUTERS ბუდაპეშტიდან

ფერენცვაროში — ფეიენოორდი. რობერტ ვაგნერს შინჯი ონოს წიხლი მოხვდა

### A ჯგუფი

**ჰართსი 0:1 შალკე**

0:1 ლინკოლნი (73)

შალკე: როსტი, უდე კამპუისი, ვალდოხი, ბორდონი, პანდერი, ალტინტოპი (კობიაშვილი 62), პოულსენი, ლინკოლნი, ასამოა (ვარელა 61), სანდი (ჰანკე 89), აილტონი

მწვრთნელი: რალფ რანგნიკი

გაფრთხილება: როსტი

მსაჯი: ნიკოლაი ივანოვი (რუსეთი)

27 272 მაყურებელი

**ფერენცვაროში 1:1 ფეიენოორდი**

1:0 ტოშერი (27), 1:1 ს. კალუ (63)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 |
| შალკე | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ბაზელი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ფერენცვაროში | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ჰართსი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |

III ტური, 25 ნოემბერი

შალკე — ფერენცვაროში

ბაზელი — ჰართსი

### B ჯგუფი

**პარმა 1:0 სტიაუა**

1:0 ბუდელი (79)

**ბეშიქთაში 3:1 ბილბაო**

1:0 გიუნეში (26), 1:1 ესკერო (49), 2:1 კარეუ (63), 3:1 იბრაჰიმ აკინი (89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბეშიქთაში | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| სტიაუა | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| ბილბაო | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| პარმა | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| სტანდარდი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

III ტური, 25 ნოემბერი

სტანდარდი — პარმა

სტიაუა — ბეშიქთაში

### C ჯგუფი

**უტრეხტი 1:2 დნიპრო**

0:1 როტანი (12), 0:2 სემოჩკო (83), 1:2 დუგლასი (88)

**აუსტრია 1:0 სარაგოსა**

1:0 გილევიჩი (71)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დნიპრო | 2 | 2 | 0 | 0 | 5:3 | 6 |
| აუსტრია | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| სარაგოსა | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| ბრიუგე | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 |
| უტრეხტი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |

III ტური, 25 ნოემბერი

ბრიუგე — უტრეხტი

დნიპრო — აუსტრია

### E ჯგუფი

**პარტიზანი 4:0 ეგალეო**

1:0, 2:0, 3:0 ს. ილიჩი (23, 56, 61), 4:0 ვუკჩევიჩი (69)

**მიდლსბრო 2:0 ლაციო**

1:0, 2:0 ზენდენი (16, 71)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიდლსბრო | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| პარტიზანი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 3 |
| ვილიარეალი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ლაციო | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| ეგალეო | 2 | 0 | 1 | 2 | 0:5 | 0 |

III ტური, 25 ნოემბერი

ლაციო — პარტიზანი

ვილიარეალი — მიდლსბრო

### F ჯგუფი

**გრაცერი 3:1 ამიკა**

0:1 დემბინსკი (26), 1:1, 2:1, 3:1 კოლმანი (31, 61პ, 70)

**ალკმაარი 2:0 ოსერი**

1:0, 2:0 ჰიუსგემსი (4, 18)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრაცერი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| რეინჯერსი | 1 | 1 | 0 | 0 | 5:0 | 3 |
| ალკმაარი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ოსერი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |
| ამიკა | 2 | 0 | 0 | 2 | 1:8 | 0 |

III ტური, 25 ნოემბერი

ამიკა — ალკმაარი

რეინჯერსი — გრაცერი

### G ჯგუფი

**შტუტგარტი 3:0 ბენფიკა**

1:0 კაკაუ (31), 2:0 მაისნერი (52), 3:0 კურანი (72)

**დინამო 6:1 ბევერენი**

1:0 ე. და სილვა (16), 2:0 ა. მიატოვიჩი (21), 3:0, 4:0 ზაჰორა (35, 41), 5:0 კრანჩარი (55), 5:1 ვიმინქსი (81), 6:1 მუიჩინი (87)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შტუტგარტი | 2 | 2 | 0 | 0 | 8:1 | 6 |
| დინამო | 1 | 1 | 0 | 0 | 6:1 | 3 |
| ბენფიკა | 2 | 1 | 0 | 1 | 4:5 | 3 |
| ჰერენვენი | 1 | 0 | 0 | 1 | 2:4 | 0 |
| ბევერენი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:11 | 0 |

III ტური, 25 ნოემბერი

ბენფიკა — დინამო

ჰერენვენი — შტუტგარტი

### H ჯგუფი

**ლილი 2:1 ზენიტი**

1:0 ტაფორო (35), 1:1 კერჟაკოვი (39), 2:1 მუსილუ (42)

**სევილია 2:0 ალემანია**

1:0 არანდა (8), 2:0 ჟულიო ბაპტისტა (78პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზენიტი | 2 | 1 | 0 | 1 | 6:3 | 3 |
| სევილია | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ლილი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ალემანია | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| აეკ | 1 | 0 | 0 | 1 | 1:5 | 0 |

III ტური, 25 ნოემბერი

ზენიტი — სევილია

აეკ — ლილი

## ესპანეთი

სამეფო თასის 1/32 ფინალი

კონკენსე 0:2დ.დ.(0:0) უელვა

## ირლანდია

პრემიერლიგა. XXXIV ტური

დუბლინი 2:3 დროჰედა

# ჰართსს ლინკოლნი დაეჭყანა

თბილისის „დინამო“ ნიუკასლში, „იუნაიტედთან“ დამარცხდა, რაშიც სასიამოვნო ჩვენთვის არაფერია, მაგრამ ხასიათი ძალიან რომ არ წაგვიხდეს, მოდით, გუშინდელ საუეფასთასო საღამოში რაიმე სასიამოვნო მაინც ვიპოვოთ.

ძებნა დიდხანს არ დაგვჭირდება, რაკი გელზენკირხენის „შალკემ“, რომელშიაც ლევან კობიაშვილი გვეგულება, ედინბურგში, „ჰართსს“, ხატოვნად რომ ვთქვათ, გული გაუტეხა. ხოლო ის გარემოება, რომ კობიაშვილი მეორე ტაიმში, კერძოდ კი 62-ე წუთიდან ჩაება თამაშში, გერმანული გუნდის გამარჯვებით განცდილ ქართულ სიხარულს ვერ გაანელებს.


REUTERS ედინბურგიდან

„შალკემ“ ლინკოლნის გასროლილით მოიგო

ამ მოგების მერე „შალკეს“ ოთხი ქულა დაუგროვდა, რაც ჯგუფიდან გასასვლელად შესაძლოა საკმარისიც აღმოჩნდეს, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, კობიაშვილს და მის გუნდს მომდევნო მატჩებში წარმატება არ ვუსურვოთ.

ედინბურგში კი „შალკე“ თვალსაჩინო უპირატესობას ფლობდა, რაც განსაკუთრებით მეორე ტაიმში, პატრიკ კისნობროს გაძევების მერე გამოიკვეთა — შოტლანდიელი მეორე ყვითელი ბარათით გაუშვეს მოედნიდან.

გამარჯვების გოლი ლინკოლნმა გაიტანა ოციოდ მეტრიდან: მეკარე კრეიგ გორდონი ბურთს ორივე ხელით კი შესწვდა, მაგრამ დარტყმა იმდენად ძლიერი იყო, რომ მაინც ბადეში გაეხვა. საერთოდ კი, გორდონმა რამდენიმე სხვა ეპიზოდისას „ჰართსი“ ნაღდი გოლისგან იხსნა, ერთი ლინკოლნის დარტყმისას შეიქნა უძლური. „შალკეს“ უპირატესობის დასამოწმებლად კი დავძინოთ, რომ სტუმრებმა ბურთი ორჯერ ძელსაც გაარტყეს.

ამავე ჯგუფში „ფერენცვაროშმა“ და „ფეიენოორდმა“ ფრედ ითამაშეს და ჯგუფსაც ბოლო ათწლეულში უეფას თასის ორი მფლობელი, „შალკე“ და „ფეიენოორდი“ ლიდერობენ.

ქართულ ინტერესს რომ შევეშვათ და ზოგადევროპულზე ვილაპარაკოთ, ორი მატჩის გამორჩევა გვმართებს: „მიდლსბრო“ — „ლაციო“ და „შტუტგარტი“ — „ბენფიკა“.

პირველ შეხვედრას ერთი გამორჩეული გმირი ჰყავდა, ჰოლანდიელი ბუდევინ ზენდენი, ვინაც რომაელებს ორი გოლი გაუტანა, შტუტგარტელთაგან კი სამმა ფეხბურთელმა თითოჯერ დალაშქრა ლისაბონელთა კარი — კაკაუმ, სილვიო მაისნერმა და კევინ კურანიმ.

თუმცა, ტურის გმირზე თუ მიდგა საქმე, ასეთად ბელგრადელი საშა ილიჩი უნდა მივიჩნიოთ, ვინაც ჰეთ თრიქი შეუსრულა ბერძნულ „ეგალეოს“.

**კოტე ქექელია**


REUTERS მიდლსბროდან

ბუდევინ ზენდენმა „ლაციო“ ორი გოლით გაისტუმრა


სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია

დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე

რედაქტორი თამაზ მიგრიაული

რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი

ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე

ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე

უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია

ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე

სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი

კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი



რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29

ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge

ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge